645 | 1990/2



ეროვნული ბიბლიოთეკა

116.

# მანდილი

ISSN 0321—1509
7
1990

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«МАНДИЛИ»
ТРАДИЦИОННЫЙ ГОЛОВНОЙ ПОКРОВ — СИМВОЛ ЛЮБВИ, ДРУЖБЫ, МИРА

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი
მარიკა ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი გურგენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნაზი თარგამაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზინაიდა კვაჭაძე, ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ჟვანია, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეწირული, ირმა ჩოფიკაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — საქართველოს ქალთა ნაკრები სინქრონულ ცურვაში. ჯავარ ლომაძის ფოტო; მეოთხეზე — მოდები.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. М. Костава, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, ул. М. Костава 14.

# პრესკონფერენცია რედაქციაში

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფციამ მოსახლეობის ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

და აი, რატომ!

როგორც მაღალი ტრიბუნიდან ზოგიერთები ამტკიცებდნენ: საბაზრო ეკონომიკა და ფასები ერთმანეთთან ძალზე მჭიდრო, ორგანულ კავშირშია. უფრო მეტიც, საბაზრო ეკონომიკა წარმოუდგენელია ეკონომიკური ინსტრუმენტის — ფასის გარეშე. სამეურნეო მექანიზმის გადაყვანა მეურნეობის გაძღოლის ამ ახალ მოდელზე, აუცილებლად მოითხოვს ფასების სისტემაში შესაბამის ცვლილებებს.

ნუთუ სხვა გამოსავალი არ არის? რა ვუპასუხოთ იმ მრავალრიცხოვან მკითხველს, ვინც თავის წერილებში გვიმხელს გულისტკივილსა და შეშფოთებას?

სწორედ ეს კითხვები გახდა ჟურნალ „მანდილის" რედაქციაში საქართველოს სსრ ფასების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ჯემალ ჩხიკვაძის მოწვევის მიზეზი.

მარიკა ბარათაშვილი — რედაქტორი:

— როგორც ცნობილია რეგულირებად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა განაპირობა იმ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, რომელიც ამჟამად ქვეყანაშია, შეიძლება თუ არა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ფასების მოუმატებლად?

ჯემალ ჩხიკვაძე:

— საბაზრო ეკონომიკას შესაბამისი ანუ „საბაზრო ფასი" სჭირდება. საბაზრო ეკონომიკა ფასების დაწესების თავისუფლებას ნიშნავს. თავისუფალი ბაზრის პირობებში კი ფასების მომატება-დაკლებას თვით ბაზარი კარნახობს. ახლანდელი ფა-

სები არ ასახავენ წარმოების ნამდვილ დანახარჯებს, არც მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობას, არც მსოფლიო ფასების დონეს. მისი შენარჩუნება დაამუხრუჭებს ეკონომიკურ რეფორმას და ეკონომიკურ კატასტროფას გამოიწვევს. ამიტომ საბაზრო ეკონომიკა რკინისებური აუცილებლობით მოითხოვს გეგმიანი ფასის ასპარეზის მკვეთრად შემცირებას და თავისუფალ ფასწარმოქმნაზე გადასვლას.

ეთერ ჯაფარიძე — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე:

— ფასწარმოქმნის პრობლემა უმწვავესია. ამ დარგში ცვლილებებს მოსახლეობა ძალზე განიცდის. პარალელურად შემუშავდა სოციალური დაცვის მექანიზმი, მაგრამ საინტერესოა, როგორ ამუშავდება იგი?

ჯემალ ჩხიკვაძე:

— საცალო ფასების მასშტაბური რეფორმის განხორციელება მოსახლეობის კომპლექსური სოციალური დაცვის სისტემის ერთდროულად შემოუღებლად შეუძლებელია. ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეებისათვის საცალო ფასების ერთდროულ მომატებასთან დაკავშირებით წარმოშობილი მატერიალური დანაკარგების კომპენსაცია. განსაზღვრულია მოსახლეობისათვის გადასახდელის ოდენობა ხელფასის ოდენობას დაუკავშირდეს, დაწესდეს კომპენსაციის ფიქსირებული პროცენტი. გაანგარიშებით კომპენსაციამ შეიძლება შეადგინოს ხელფასის 15 პროცენტი. ვისაც დიდი ხელფასი არა აქვს, განისაზღვრება გარანტირებული გადასახდელის ქვედა ზღვარი — თვეში 40 მანეთამდე. დიდხელფასიანი მუშაკებისათვის კი დაწესდება კომპენსაციის ოდენობის ზედა ზღვარი. ამასთან, ფასების ერთდროულ მომატებასთან დაკავშირებული ყველა გადასახდელი არ დაიბეგრება საშემოსავლო და სხვა გადასახადებით.

ლია კაკაბაძე — პასუხისმგებელი მდივანი:

— კომპენსაცია მარტო პურისა და პურ-პროდუქტების საცალო ფასების შეცვლისას გაიცემა, თუ ეს წესი ყველა სახის სასურსათო და სამრეწველო საქონელზე გავრცელდება?

ჯემალ ჩხიკვაძე:

— უკომპენსაციოდ დარჩება საიუველირო ნაწარმის, ალკოჰოლიანი სასმელების, თამბაქოს ნაწარმის, ხორცისა და თევზის დელიკატესების, მსუბუქი მრეწველობის, განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი და მოდური საქონლის, ცალკეულ სახეობათა რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაძვირება, მგზავრთა გადაყვანის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ტარიფების ზრდა.

ირმა ჩოფიკაშვილი — მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე.

— მთავრობის პროგრამა საერთოსახალხო რეფერენდუმმა რომ არ მიიღოს, ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევის რა გზა რჩება?

ჯემალ ჩხიკვაძე:

— საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობას გაგებით თუ არ შევხვდით, ამით ხელს შევუწყობთ ეკონომიკური კრიზისის შემდგომ გაღრმავებას, უფსკრულისაკენ ქვეყნის ეკონომიკის დაქანებას.

საჭიროა ყველა ძალების კონსოლიდაცია და ძალისხმევა, რათა ხელსაყრელი პირობები შევუქმნათ სამეურნეო მექანიზმის გადაყვანას მეურნეობის გაძღოლის ახალ მოდელზე — საბაზრო ეკონომიკაზე.

ჩაიწერა ლეილა კოშკაძემ

## ჭაშნიკი

### გარდასახვა

იმ გზააბნეულ მგზავრს ვგავარ ახლა
უდაბნო ვისაც ექცა გალიად,
მე იმ ყავლგასულ ბერიკაცს ვგავარ,
თავისი წილი გზა რომ გალია.

იმ ადიდებულ მდინარეს ვგავარ
ლოდებთან ბრძოლას რომ შესტრფის
მუდამ,
იმ პაწაწინა ვარსკვლავსაც ვგავარ —
ზეცის დაპყრობა რომელსაც უნდა.

მე სიცოცხლეს და სიყვარულს ვგავარ,
მაისის წვიმას, ჭექას და ავდარს,
იმ დრომოუჭმელ სიყვარულს ვგავარ,
სხვა რომ არ იცის ალმასვლის გარდა!

### მე საქართველოს თუ მქვია შვილი

მე საქართველო არ მინახავს ჯერაც ასეთი:
ცრემლებდამშრალი და შეძრული სულით
ხორცამდე,
უხეში ძალით დავემსგავსეთ ვენახს
დასეტყვილს,
ნაცვლად იმისა, რომ მომხდურებს
ჩვენვე ვხოცავდეთ!

„ღმერთი არს ჩვენთან“, შენ გვამშვიდებ,
ცაო ნათელო,
მართლაც და, ღმერთმა უკეთ იცის
ლხენა და დარდი,
მე ჩემს თხუთმეტ წელს შევწირავდი ჩემს
საქართველოს,
სასაკლაოზე ჩემი ჭკნება ალბათ დღეს
ვარდი.

წითელი ვარდი ყვავილების ზღვას
შერევია,
საქართველოსთვის განწირულებს ადგათ
ნათელი,
ქართველებს ძალით ვერასოდეს ვერ
ერევიან,
გულგატეხილი არ უნახავს არვის
ქართველი.

კვლავ საქართველო ცრემლით ალბობს
საფიცარ ცხედარს,
შენში ვმთავრდებით, საქართველოვ,
როგორც ვიწყებით,
საქართველოსთვის თავდადებულ ყველა
გმირს ვხედავ,
და გიხაროდენ, რომ არავის
დაავიწყდებით.

„მუმლი მუხასა“ და „შავლეგის“
ჰანგები ჰქრიან,
ამ გოდებასაც საქართველო სიმღერით
მღერის,
და მიხარია, საქართველოს შვილი რომ
მქვია,
თავისუფალი ცხოვრებისკენ მავალი ერის!

თამრიკო ყურაშვილი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე.



19.320

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# აქ შრომა სახალისოა

## ქალებს შრომის საუკეთესო პირობები აქვთ



● ოპერატორი [illegible]

● ოპერატორი [illegible]



Სულ ცოტა ხნის წინ, სამთლიათ რომ გვეკითხათ, კარგ ლინოლეუმს სად ნახავდით, თუ გამოიტანდნენ გასაყიდად, ისე ერთი წყვეტა და უზარმაზარი რიგები.

ახლა? — ახლა ჩვენს მაღაზიებში მშვენივრად მოხატული, უმაღლესი ხარისხის ლინოლეუმი ბლომად აწყვია, რომელიც იმპორტულს არაფრით ჩამოუვარდება და მყიდველიც გულდინჯად და შერჩევით იძენს.

სულ ცხრა თვეა, რაც მწყობრში ჩადგა თბილისის ლინოლეუმის ქარხანა და სახელიც მალე გაითქვა თავისი უნიკალური მოწყობილობით, პროდუქციის უმაღლესი ხარისხის გამოშვებით, მუშა-მოსამსახურეთა მაღალი სპეციალიზაციით. შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით ქარხანას რესპუბლიკაში ბადალი არ ჰყავს. საწარმოში მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალია, მათ შორის სამი მეცნიერებათა კანდიდატი.

ქარხანა ქართველმა და გერმანელმა სპეციალისტებმა დაამონტაჟეს. ჩვენმა ქვეყანამ გფრ-ის ფირმა „რაშიშ კლაინევეფერსინგენ" 64 მილიონ (უცხოურ ვალუტაში) მანეთად შეიძინა ლინოლეუმის ხაზი, რომლის წარმადობა 4 მილიონი კვადრატული მეტრი ლინოლეუმია წელიწადში და ხარისხით სრულიად შეესაბამება ევროპის სტანდარტებს.

ქარხნის მთლიანმა სამშენებლო-სამონტაჟო ღირებულებამ 15,1 მილიონი მანეთი შეადგინა; როგორც ვხედავთ, საკმაოდ სოლიდური თანხაა დახარჯული, სამაგიეროდ იგი ავტომატიზაციის მხრივ უნიკალურია, აქ ხელით შრომა მინიმუმამდეა დაყვანილი.

მუშა-მოსამსახურეები კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოსკოვთან ახლოს მიტიშის მსგავსი წარმოების ქარხანაში გავაგზავნეთ და იქიდან, მართლაც რომ კარგ სპეციალისტებად დაგვიბრუნდნენ.

საწარმო ორნაირი სისქის ლინოლეუმს უშვებს, ფერებითა და ნახატებით კი მრავალნაირს. ლინოლეუმის დამუშავების ყველა პროცესი ერთ საამქროში მიმდინარეობს, რომელიც სხვადასხვა უბნებად არის დაყოფილი. აქ ხდება მისის ქსოვილის „პასტით" დაფარვა, მისი გაშრობა, მოხატვა, გალაქვა და დაჭრა. მუშები დანადგარებთან დგანან და თვალყურს ადევნებენ მათ მუშაობას.

— არ იღლებით? — ვეკითხები ერთ ერთ მათგანს.

— რა დამღლის? მხოლოდ და მხოლოდ ღილაკებთან მაქვს საქმე. ასეთი მუშაობა სასიამოვნოა.

და ამ გოგონას — ვიოლა გორგაძეს, აღმოჩნდა, რომ 400 მანეთი აქვს ხელფასი, და საერთოდ, აქ ყველა მუშა-მოსამსახურე სოლიდურ ხელფასს იღებს. საშუალო ანაზღაურება მუშებისათვის 492 მანეთია, ინჟინრებისათვის — 500 მანეთი.

— მაინც რამ განაპირობა ასეთი მაღალი ხელფასები?

— წარმოების ავტომატიზაციამ და პროდუქციის მაღალმა ხარისხმა, — გვპასუხობს მთავარი ინჟინერი ჯემალ შუბითიძე, — თბილისში, სხვა ასეთი სიმძლავრის ქარხანაში 500-მდე კაცი მუშაობს, ჩვენთან კი — ხუთჯერ ნაკლები და არც გვჭირდება მეტი. მაგრამ იმდენია მსურველი, რომ მოსიყვნელებს ვერ ავუდივართ. ისე რომ, ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობამ 200-მდე მიაღწია, აქედან 65 ქალი გვყავს.

ქალები ახსენა და რა თქმა უნდა, მყისვე დავინტერესდით, თუ რა შეღავათებით სარგებლობენ ისინი.

— გეუბნებით, ჩვენთან ყველა პროცესი მექანიზებულია. ქალი საერთოდ არ იღლება, იგი ფიზიკურად არ მუშაობს, ხელფასი მაღალი აქვს. ამას დაუმატეთ კვარტალური პრემიები, მეცამეტე ხელფასი, ახლავე დაწესებული გვაქვს, რომ ყოველი ახალშობილისათვის დედებს 100 მანეთი ვაჩუქოთ. სანატორიუმების და დასასვენებელი [illegible] არ გვაკლდება. [illegible] ბუნ ემსახურება [illegible] რა... თუმცა თვითონ ბავშვები, [illegible] გაჭირვებულნი არიან.

ვკითხულობ [illegible] ბი არსად ვართ, — ასე გვიპასუხეს.

ქარხანაში უნიკალური სასტუმროა: სასადილო, შხაპები, გასახდელები — ყველაფერი სანიმუშოდ არის დაკრიალებული. ყოველ მუშას საკუთარი კარადა აქვს, სპეცტანსაცმელიც გამოყენებით შეკერილი — ამაზე საზრუნავი კადრების სტუდენტებმა იზრუნეს.

და რაც მთავარია — ბინის საკითხი. წელიწადნახევარში მსურველთა უმეტესი ნაწილი ბინას მიიღებს, მათთვის თელეთის დასახლებაში შენდება სახლი, გეგმაში კვლავ ერთი საცხოვრებელი სახლის აშენება აქვთ გადაწყვეტილი. ასე რომ, უბინაოდ არავინ დარჩება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქარხანა ეკოლოგიურად უსაფრთხოა: არ ხდება წყლისა და ჰაერის დაბინძურება. გერმანელებისაგან 2,6 მილიონ (უცხოურ ვალუტაში) მანეთად ღირებული დანადგარი შეისყიდეს, რომელიც ჰაერის გასუფთავებას ემსახურება. აქ მაღალ ტემპერატურაზე იწვის და მავნე მინარევებისგან თავისუფლდება ტექნოლოგიური პროცესების დროს გამოყოფილი გაზები.

რა პრობლემები აქვთ? — უპირველესად ნედლეულით მომარაგება, რასაც მხოლოდ და მხოლოდ უცხოეთში ყიდულობენ ვალუტით. ეს კი გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ სხვა გზა არ არის — როცა მოგება დიდია, სიძნელეებს არ უნდა შეუშინდეს ქარხანა; აი, ახლაც, ფირმა „რაშიშ კლაინევეფერსის" წარმომადგენლებს ელოდებიან, რათა შპალერის გამოშვებაც დანერგონ ლინოლეუმის პარალელურად.

მანანა ზარიძე

## ქართველი [illegible] [illegible]

1722 წლის [illegible] [illegible] ნუნებული ორის დროს გოლხაბარის [illegible] ბრძოლაში სიცოცხლე გამოესალმა [illegible] დასახელებულ მოსულ ქართველ მეომართაგან თურქებისათვის კარგად ცნობილი მამაცი მეომარი. მის დაქვრივებულ მეუღლეს [illegible] ქმრის გმირულად დაღუპვის ამბავი.

ქმრის სიკვდილით შეძრწუნებული ქართველი ქალი [illegible] რომ [illegible] რაც შეიძლება ჩვენი ჩამოგდებული ქმრის მომხრეთა რიგებში და [illegible].

ქმრის [illegible] გამოწყობილი და [illegible] [illegible] გზას დაადგა. [illegible] ბრძოლაში იგი შეუერთდა [illegible] ლაშქარს და მოკლე დროში 50 მოწინააღმდეგე მოსპო, რაც მან მოკლული ქმრის [illegible] მისაგებად [illegible]. მალე იგი, მრავალი ჭრილობით დაღლილი, ტყვედ ჩავარდა. [illegible] წინაშე წარდგენილმა ტყვე ქალმა გულწრფელად გაამხილა ის მიზეზი, რამაც აიძულა გამოეჩინა სიმამაცე. გაოცებულმა სულთანმა, როგორც გადმოგვცემს [illegible], [illegible] გმირ ქალს არა მარტო თავისუფლება აჩუქა, არამედ მრავალგვარი საჩუქრით უხვად დაასაჩუქრა.

ისტორიამ შემოგვინახა [illegible] ქართველი ამორძალის [illegible] მისი ქმრის სახელი.

დავით ბუხუკაშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

## ქართულ სიტყვას დანატრებულ მხარეში

# დმანისის თეატრი



თეატრის სამხატვრო კონსულტანტი ზინა კვერენჩხილაძე

თითოეული ადამიანი, მით უფრო ხელოვანი, თავისი ბიოგრაფიის მნიშვნელოვან მომენტს თავად იმზადებს — მთელი არსებით მიისწრაფვის მისკენ და ერთ მშვენიერ დღეს აღისრულებს კიდეც საწადელს. ხშირ შემთხვევაში, შეიძლება ეს ქვეცნობიერი ლტოლვა იდუმალი ძალის ამოფრქვევა უფრო იყოს, ვიდრე გამიზნული მოქმედება, ზედაპირზე რომ დევს და ესოდენ ხელშესახებია. ამავე დროს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ სოციალურ მოვლენათა განვითარების ტენდენცია ბადებს ამგვარ პიროვნებათა და მოვლენათა შეერთების აუცილებლობას. სწორედ ასეთ ბედნიერ შერწყმას ჰქონდა ადგილი გასული წლის მიწურულს, როდესაც დაიბადა იდეა — ქართულ სიტყვას დანატრებულ მხარეში, დმანისში, შექმნილიყო თეატრი-სტუდია, რომელსაც „ქვემო ქართლის“ სახელი დაანათლეს.

ამ მამულიშვილური საქმის სულისჩამდგმელნი არიან: ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესიით ინჟინერი, ნანა ბოკუჩავა, დმანისის ნაქალაქევის არქეოლოგიური გათხრების ექსპედიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ჯუმბერ კოპალიანი და ყველასათვის ცნობილი და აღიარებული მსახიობი ზინა კვერენჩხილაძე. ამ სამეულის დაკავშირების იდეა სწორედ დმანისში აღმოცენდა, ხოლო არჩევანი განაპირობა ზ. კვერენჩხილაძის როგორც აქტიორულმა, ისე პიროვნულმა ღირსებებმა. არასდროს უფიქრია ქალბატონ ზინას თეატრის სამხატვრო კონსულტანტობა, მაგრამ ეს როლიც არგუნა ბედმა — შეიძლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მის ცხოვრებაში...

რუსთაველის თეატრში ზინა კვერენჩხილაძეს ხშირად უხდება მტკიცე ნებისყოფისა და სულით ძლიერ ქალთა სახეების გაცოცხლება, ქალებისა, რომლებმაც თავდადებული სიყვარულიც იციან და ოჯახის ერთგულებაც და თუ მამულის კეთილდღეობამ მოითხოვა — მისთვის თავგანწირვასაც არ ერიდებიან. ასეთი იყო ლელა — დოდო ალექსიძის ჰე-



სპექტაკლში „ილია ვარ!!!“ მსახიობი ოთარ მეღვინეთუხუცესი



სცენა სპექტაკლიდან „ილია ვარ!!!“ მსახიობები: ა. ხიდაშელი, დ. დვალიშვილი

როიკულ-მონუმენტურ სპექტაკლში „ბახტრიონი“, სადაც ახალგაზრდა მსახიობი კოტე მახარაძესთან ერთად მძლავრად წარმოაჩენდა ჭეშმარიტი პატრიოტიზმის გაუხუნარ გრძნობას. ეს წარმატება მით უფრო დიდი იყო, რომ ისინი პატრნიოროობას თვით სერგო ზაქარიაძეს უწევდნენ. რომლის სამშობლოს სიყვარულში დამშვრალი ქადაგი ამაღლებული ტრაგიზმით შთამბეჭდავი ნიმუში იყო.

აქედან დაიწყო ზინა კვერენჩხილაძის აქტიორული ბიოგრაფია. ლელას სახემ გზა დაულოცა დიდი ხელოვნებისაკენ, სადაც მას ელოდა არაერთი ტრაგედიული თუ დრამატული როლი. მსახიობის მიერ შესრულებულ როლთა მხოლოდ ჩამოთვლაც კი გვიქმნის სრულ წარმოდგენას მის მხატვრულ ინტერესებსა და შესაძლებლობებზე: მტკიცე და შეუვალი ელიზაბეტ პროქტორი — არტურ მილერის „სეილემის პროცესიდან“, ქალური და ადამიანური ღირსების ურყევი დამცველი ანტიგონე — ჟან ანუის „ანტიგონედან“, ტრაგიკული სიყვარულის მსხვერპლი ფედრა — ჟან რასინის ამავე სახელწოდების კლასიკური პიესიდან; საქართველოს ისტორიის უკუღმართი ხანის კიდევ ერთი ტრაგიკული ბედის დედოფალი ზეინაბი — ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატიდან“, გრძნეული კოლხი მედეა — ევრიპიდესა და ანუის დრამატურგიულ გააზრებაში, ქეთევან წამებული, კლეოპატრა, იოკასტე, პენელოპე; გარდა ამისა, მთელი გალერეა ქართველ დედათა სახელებისა და ბოლოს უნიჭიერესი, უცნაური, უფაქიზესი სულის ამერიკელი პოეტი ქალი ემილი დიკინსონი — „ამჰერსტის მშვენებაში“.

რამდენჯერ გამოსულა ზინა კვერენჩხილაძე ესტრადაზე, რათა ღირსეული პატივი მიეგო ქართული პოეტური სიტყვისათვის; თითოეული ლექსის წაკითხვაში მსახიობი აქსოვს უდიდეს სიყვარულსა და ამაღლებულ განცდას. თითქმის არ ჩატარებულა პოეზიის საღამო თუ რაიმე ღონისძიება, რომ მისთვის მონაწილეობის მიღება არ შეეთავაზებინოთ; ვერ გავიხსენებთ იმ ფაქტსაც, რომ ზინა კვერენჩხილაძეს უარი ეთქვას რომელიმე მათგანში მონაწილეობის მიღებაზე, ეს მაშინ, როცა მსახიობი ესოდენ დატვირთულია როგორც თეატრის რეპერტუარით, ასევე თეატრალურ ინსტიტუტში პედაგოგიური საქმიანობით.

განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო მის მიერ შესრულებული დატირება (ტექსტის ავტორი ინგა ბახტაძე) სიონის ტაძარში ჩატარებულ 9 აპრილის მსხვერპლთა პატივსაცემად აღვლენილ წირვაში, სადაც უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის სურვილით მიიღო მონაწილეობა. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაშიც არჩევანი ზინა კვერენჩხილაძეზე შეჩერდა და ეს გამონაკლისი არ იყო — მრავალ საქველმოქმედო აქციაში მიუღია მას მონაწილეობა და ცხადია, მომავალშიც არ დაზოგავს თავს, ემსახუროს ხალხს. კეთილშობილური მისიის აღსრულებისათვის.

ხელოვნებაში განვლილმა მრავალწახნაგოვანმა და მდიდარმა გზამ ხალხის წარმოდგენაში ჩამოაყალიბა ზინა კვერენჩხილაძის, როგორც მსახიობის და ადამიანის მოწამებრივი სახე. ის უყვართ, მას ენდობიან, სწამთ და ბევრს მოითხოვენ კიდეც.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ დღეს, როდესაც ხშირად გაისმის შეშფოთებული ხმები თანამედროვე თეატრის კრიზისულ მდგომარეობაზე, ხელოვნების დარგთა შორის სწორედ თეატრის ცოცხალი სიტყვა აღმოჩნდა ყველაზე მძლავრი საშუალება ჩაფერფლილი ეროვნული სულისკვეთების ასაღორძინებლად და, საბედნიეროდ, არა მხოლოდ დმანისში!.. ის ვინც დაესწრო თეატრ-სტუდია „ქვემო ქართლის“ პირველ პრემიერას 1990 წლის 19 იანვარს, სოფელ განთიადის კულტურის სახლში, სადაც დროებით დაიდო თეატრმა ბინა, აუღელვებლად ვერ მოიგონებს ამ დიდებულ დღეს; 19 იანვარი საეკლესიო კალენდარში აღნიშნულია, როგორც წყალკურთხევის დღე და მოხდა კიდეც შესანიშნავი დამთხვევა — ილია მეორემ, რომელიც საგანგებოდ ჩამობრძანდა ამ ზეიმზე, აკურთხა და დალოცა დმანისელთა ეს მისაბაძი თაოსნობა.

ახლადშექმნილმა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობამ იმ მხარეში, სადაც მცირერიცხოვან ქართველობას აქამდე არ მოესმინა სცენიდან ცოცხალი მხატვრული სიტყვა, არჩევანი ილია ჭავჭავაძეზე შეაჩერა. „ჩემო კალამო“ — ამ სათაურით შეივსო „ქვემო ქართლის“ სარეპერტუარო აფიშის პირველი სტრიქონი. საპრემიერო სპექტაკლში მონაწილეობდნენ რუსთაველის თეატრის წამყვანი მსახიობები — გიორგი გეგეჭკორი, გიორგი ხარაბაძე, აკაკი ხიდაშელი, აგრეთვე რუსთავის, „მეტეხისა“ და მუსიკალური თეატრების ახალგაზრდა მსახიობები — ხათუნა ბოკუჩავა, ვერიკო შოშიაშვილი, ბელა ფანჩულიძე, ზაზა მაღა-

ლაშვილი, ადგილობრივი დასის წევრი ზაზა დარსალია.

სულ მალე, 16 აპრილს, თეატრმა მეორე პრემიერა წარმოადგინა. ამჯერადაც ილია, მაგრამ არა მისი ნაწარმოებები, არამედ ამ სულმნათი ირისკაცის მკვლელობის მასალებზე შექმნილი თამაზ გოდერძიშვილის პიესა „ილია ვარ!!!“ გარდა პირველ სპექტაკლში მონაწილე მსახიობებისა, ამჯერად სცენაზე არიან — ოთარ მეღვინეთუხუცესი, გივი ჩუგუაშვილი, დავით დვალიშვილი, ვაჟა გელაშვილი, მათ მხარს უმშვენებენ ახალგაზრდა სცენისმოყვარეები — შიო გელენიძე და დათო დოლიძე.

ორივე სპექტაკლის რეჟისურა თემურ ჩხეიძეს ეკუთვნის, მისი ერთგული თანაშემწე კი ზინა კვერენჩხილაძეა, რომელიც ორივე წარმოდგენაში მონაწილეობს, როგორც მსახიობი. თბილისელი მაყურებელი კარგად იცნობს ამ დადგმებს — „ჩემო კალამო“, რომელიც დიდი ხნის წინათ რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე განხორციელდა, ხოლო „ილია ვარ!!!“ ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ მარჯანიშვილის თეატრმა ახლახან წარმოადგინა. ვისაც ეს დადგმები დმანისში უნახავს, დამეთანხმება, რომ მაყურებელთა დარბაზში სულ სხვა განწყობილება სუფევს — ამაღლებული, სულის გამაფაქიზებელი, გამამხნევებელი... მსახიობებიც სხვა, ახალ ხარისხში გვევლინებიან, როგორც ლამაზი, კეთილშობილური მისიის აღმსრულებელნი.

დმანისის თეატრალური ზეიმის სულისჩამდგმელნი და მესვეურნი თვით დმანისელები არიან, რომელთაც სათავეში უდგას რაიონის ხელმძღვანელობა, მათი თავკაცის, ყველასათვის ესოდენ ახლობელი და პატივსაცემი ოთარ ელოშვილის მეთაურობით. უდიდესი წვლილი მიუძღვის ამ ეროვნული საქმის ცხოვრებაში დასანერგად ახალგაზრდა ენერგიულ პარტიულ მოღვაწეს ლარისა მეგრაბიანს, აგრეთვე დმანისის აღმასკომის თავმჯდომარეს ვლადიმერ ბერუაშვილს და ვანთიადის სოფსაბჭოს თავმჯდომარეს ლადო დეკანოზიშვილს.

მხოლოდ ასეთი საქმეები წარმოაჩენენ დღეს ხელმძღვანელსაც და რიგით მოქალაქესაც, მაღალი რანგის ხელოვანსაც და სცენისმოყვარესაც. სწორედ ისინი უყრიან საფუძველს იმ შორს გამიზნულ კულტურულ მოვლენას, რასაც მომავალში ალბათ დმანისის სახელმწიფო დრამატული თეატრი დაერქმევა.

**მაყა ძიგუა**



# ინტრიგის დასაწყისი

## ნამდვილი ამბავი

ერთი შეხედვით ჟურნალისტობა ადვილი, სახალისო და საპატიო საქმეა: მიხვალ, ნახავ, ხალხს გაიცნობ, მერე დაწერ, დაბეჭდავ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. წერა კი არ გახლავთ ასე იოლი საქმე, როგორც შორიდან ჩანს. აი, ეკა უკვე სამი დღეა მასალას უზის და არაფერი გამოუდის. აიღებს კალამს და გრძნობს, რომ სათქმელი ფუჭია, ცარიელი, არადა, ამბავი მართლაც დამაფიქრებელია — ბიჭი, რომელიც საბავშვო სახლში აღიზარდა, ამ ორიოდე თვის წინ საკუთარმა მამამ შინ წაიყვანა, მაგრამ ბავშვი ერთ თვეში ისევ დაუბრუნდა უპატრონო ბავშვთა სახლს და გაოცებულ აღმზრდელს განუცხადა, მე ასეთი მამა არ მინდაო...

ეკამ განწყობილების შესაქმნელად ასტრიდ ლინგრენის „შანაწალა რასმუსიც“ კი გადაიკითხა, ბიჭი ბავშვთა სახლიდან მამის საპოვნელად რომ გაიქცა.

კარზე დარეკეს. ან შეჭირვებული მთხოვნელია ან გულაჩუყებული და მადლიერი მკითხველი, რომელსაც ჩემი გაცნობა სურს, — გაიფიქრა ეკამ და კარები გააღო, მაგრამ მისი წინასწარმეტყველება ამჯერდ არ გამართლდა. უცნობმა გოგონამ მხოლოდ სახელით გააცნო თავი, მერე კი ხელჩანთიდან სურათი ამოიღო და ეკას მიაწოდა, სურათიდან დიდთვალება, გაოცებული ბაფთიანი გოგონა იღიმებოდა.

— გეცნობათ? — ჰკითხა შესამჩნევად აღელვებულმა და ფერწასულმა.

— როგორ არა, ეს ხომ ჩემი სურათია — გაეცინა ქალიშვილს, მერე კი დაიბნა. — მაგრამ თქვენთან როგორ გაჩნდა, მგონი პირველად გხედავთ...

— დიახ, პირველად, მაგრამ, თქვენზე ბევრი რამ მსმენია, თქვენი სტატიებიც მომწონს და მეამაყება კიდეც... სულ მინდოდა თქვენი გაცნობა.

— ბოდიში, თქვენ ვინ ბრძანდებით? — შეაწყვეტინა ეკამ.

— თქვენი და ვარ. — ყრუდ უპასუხა გოგონამ.

— გეშლებით, მე მხოლოდ ძმა მყავს და ახლა ჯარში მსახურობს, — დაიბნა ეკა.

— მე თქვენი და ვარ, — ჯიუტად გაიმეორა უცნობმა. ეკამ მხრები აიჩეჩა. გულწრფელად გაოცებულს ვერ მოესაზრებინა, რა ექნა. დუმილი დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს გოგონამ თავი ასწია და თვალებში შეხედა ეკას. მართლა არაფერი იცით თუ თამაშობთ?

— რა უნდა ვიცოდე? — მღელვარება ეკასაც გადაედო და პირი გაუშრა.

— თქვენ ნაშვილები ხართ?

— რა ბრძანეთ? — ეკას თვალები გაუფართოვდა.

— ნუთუ არაფერი გსმენიათ? — გაუკვირდა გოგონას და გამომცდელად შეხედა.

— მაპატიეთ, ძალიან მეჩქარება, სასწრაფოდ უნდა დავამთავრო მასალა...

— აა, შემომხედეთ, განა ჩვენ ერთმანეთს არ ვგავართ?

— რა გინდათ ჩემგან! — ლამის იყვირა ეკამ.

— თქვენ იცნობთ ნათელა ინაურს? — კითხვა შეუნაცვლა გოგონამ.

— ბავშვობიდან... იგი დედაჩემის მეგობარია, მაგრამ არ მესმის, რა შუაშია აქ ნათელა, რა სპექტაკლს დგამთ, ვინ გგონივართ?

— ნათელა ინაური თქვენი დედაა, იგი ეჭვიანობის გამო დაშორდა მამაჩემს... .მამაჩვენს... მაგრამ თქვენ თუ არ გჯერათ, მე წავალ...

ეკა გაფითრებული შესცქეროდა გოგონას, მერე თავი გაიქნია აბეზარი ფიქრების მოსაშორებლად, წამოდგა და მტკიცედ თქვა:

— თქვენ კარგად ვერ მოიფიქრეთ „ინტრიგის დასაწყისი“. თუ ნათელა ინაური დედაჩემია, რატომ გამაშვილა?

— იმიტომ, რომ მშობლები გყოლოდა, იმიტომ, რომ მის მეგობარს შვილი არ უჩნდებოდა, შენი ძმაც გვიან შეეძინა და კიდევ იმიტომ, რომ მამაჩემი დაესაჯა.

— თქვენ საიდან იცით ეს ? — ჰკითხა ეკამ.





მხატვარი ნანი შალიკაშვილი

— მამამ მიამბო.

— სად იყო მამა, ან თქვენ სად იყავით აქამდე, მე ერთი სიტყვაც არ მჯერა თქვენი! სად არის ახლა ის კაცი?

— ვინ კაცი? დაიბნა გოგონა.

— სად არის... მამაშენი? — ტუჩები უთრთოდა ეკას.

— მამაჩვენი? — გაუბედავად გაიმეორა გოგონამ.

— სად იმალება ამდენ ხანს? თუ მართალი იყო, რატომ თვითონ არ მოვიდა ჩემთან.

— ქვემოთ მელოდება. — გამოტყდა გოგონა და ეკას თვალი მოარიდა.

— ამოიყვანე, — ეკა წამოდგა, ხელები უკანკალებდა, მთელი სხეული უთრთოდა, სციოდა. გოგონა გავიდა. ეკამ სახეზე ხელები აიფარა და ატირდა. ბავშვივით სლუკუნებდა. თურმე, ყველა მატყუებდა, ყველა...

— შეიძლება? — კართან მაღალი, ჭაღარა კაცი იდგა. ეკამ ნელა ასწია თავი და დაჟინებით შეაცქერდა. კაცმა ვერ გაუძლო ეკას მზერას.

— ვინა ხართ თქვენ? — ჯიქურ ჰკითხა ეკამ. მოსული დაიბნა.

— მხოლოდ მამას ნუ უწოდებთ საკუთარ თავს, — დაცინვით გააგრძელა ქალიშვილმა. — ალბათ, არც გექნებათ ამისი პრეტენზია. საინტერესოა, რამ მოგაგონათ ჩემი თავი? ალბათ, დაგჭირდით, არა?

ჭაღარა კაცმა ტუჩი მოიკვნიტა, დაჯდა, თავი დახარა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— კმარა, ეკა, მე ისედაც დასჯილი ვარ.

— ამ ტრაგიკომედიაში მხოლოდ ერთი ადამიანია დასჯილი და ისიც მე. ტყუილ-მართლის გასარჩევად აქ არც დროა და არც ადგილი, თანაც, უკვე დაგვიანებულია. მინდა ვიცოდე ახლა რამ მოგიყვანათ ჩემთან.

— მე სულ მინდოდა შენთან მოსვლა, — წაიჩურჩულა კაცმა.

— მაგრამ მოუცლელი ბრძანდებოდით, არა? — ეკა ულმობელი იყო.

— არა, უფლება არ მქონდა. არც იმედი მქონდა, რომ გამიგებდი.

— არც ახლა გაქვთ უფლება, და ნურც იმედი გექნებათ. ჩვენ ვერასოდეს გავუგებთ ერთმანეთს. მართალია, ეს ამბავი დღეს ერთბაშად, ზვავივით დამატყდა თავს, მაგრამ სალი განსჯა მაინც შემიძლია, თქვენ ჩემთვის უცხო ბრძანდებით, სრულიად უცხო. ჩვენ დღეს პირველად და უკანასკნელად ვხვდებით ერთმანეთს, რადგან არის შეცდომები, რომელნიც ბოროტ დანაშაულს უტოლდებიან, ამიტომ მათი პატიება არ შეიძლება...

— ცხოვრება რთულია შვილო, ასე ადვილად ნუ განსჯი...

— მერე სწორედ ის არის ვაჟკაცობა, რომ ამ რთულ წუთისოფელში შენი სახე და სახელი არ დაკარგო, მოვალეობა არ დაივიწყო!

— ნუთუ არ გაინტერესებს, როგორ მოხდა ყოველივე ეს?

— სამწუხაროდ, ეს იმდენად ტიპიური ამბავია, რომ უკვე დაახლოებით ვიცი, როგორც მოხდა. დეტალები კი არ მაინტერესებს, რადგან ამით შედეგი არ შეიცვლება. თქვენ ცხოვრებამ ერთი რამ დაგავიწყათ — როცა უფლება გაქვს გერქვას მამა, მაშინ ყოველგვარ ოჯახურ, წვრილმან კინკლაობაზე მაღლა უნდა იდგე, თორემ უთუოდ დაისჯები.

— თეორიულად კი, ასე ამბობენ, მაგრამ ადვილი როდია,— ამოიოხრა კაცმა.

— თქვენ თხუთმეტი წელი არ მოგგონებიათ შვილის არსებობა, რითი იმართლებთ თავს?

— მოსვლის მეშინოდა. — გამოტყდა მამა და ოფლი მოიწმინდა.

დამნაშავე რომ ხართ, იმიტომ მეცოდებით, საკუთარ თავს თავად წაართვით უდიდესი სიხარული — მამა გიწოდოს სიყრმის შვილმა.

— ასე მგონია, მსაჯული მელაპარაკება, — სიმწრით ჩაეცინა კაცს.

— მე თქვენი შვილი არა ვარ. სიმღერა, რომელიც სიყვარულით და პატივისცემით არ არის გაჯერებული, მხოლოდ ნაცარი და მტვერი არაფერი.

— შენ შემზარავად ამაყი გოგონა ხარ, ვაკა, — თბილად, ძალიან თბილად თქვა კაცმა და ქალიშვილს მოეხვია, რომ ცრემლები გაიბრწყინა მის თვალებში, — მაგრამ, მაინც დაუნდობელი ხარ.

— როგორც სიმართლე, — დაასრულა ვაკამ. კაცი ნამდვილად და კარისაკენ წავიდა. კართან მას შვილი ელოდებოდა. ვაკამ თვალი თვალში გაუყარა გოგონას და ნამით სისუსტე იგრძნო, მაგრამ ეს მხოლოდ წამით, მერე კი ისევ ხმლის თავს და თავმოყვარეობის, მხრებში მოხრილ კაცს ზურგიდან დაჰყურა.

— ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან. ნურასოდეს ეცდებით, რომ აქ იყოთ; ჩემმა მშობლებმა არ უნდა გაიგონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მე უარვყოფ ჩვენი შეხვედრის ფაქტს. რაც შეეხება თქვენს გოგონას, ჩვენ თანატოლები ვართ და გავუგებთ ერთმანეთს, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო მისადმი გულითად სიყვარულს ვერ გამოვამჟღავნებ...

დაუპატიჟებელი სტუმრები წავიდნენ, ვაკა ფიქრებში ჩაიძირა. საათი ნელ-ნელა ითვლიდა დროს, ვაკა ფიქრობდა, ღელავდა, ნერვიულობდა, ბოლოს სცემდა.

როგორ მოიქცეს? ყოველივე იმდენად დაუჯერებელი ეჩვენა, რომ გაოგნდა კიდეც, ხომ არ დამესიზმრებაო. ნათელა ინაური... პატივსანი, ერთგული, მშრომელი, ალალმართალი ქალი, რომლის სიყვარული და ზრუნვა მეუღლის ოჯახისადმი მართლაც მისაბაძად ეჩვენებოდა ვაკას. ახლა კი გაიხსნა კვანძი, ალბათ რამდენი ტანჯვა და ნაღველი გადაიტანა ამ კეთილშობილმა ადამიანმა, ვაკას გული მტკივნეულად შეეკუმშა.

მოულოდნელად ვაკას თავისი ერთ-ერთი ნარკვევის გმირი გაახსენდა, ის წლების რომ მალავდა მტანჯველ საიდუმლოს, „კეთილმა" მეზობლებმა რომ გაუმხილეს, სხვისი შვილი ხარო. მალავდა იმიტომ, რომ თავისი კეთილი და მოამაგე აღმზრდელები არ შეეწუხებინა, არ აეფორიაქებინა. რა უნდა იყოს იმაზე უფრო საშინელი, ვიდრე მთელი ცხოვრება ენაზე კბილდაჭერილი არსებობა. ერთ დაკითხვაში ხომ არაფერი შველის, ამიტომაც ვაკამ მის ნარკვევს უწოდა: „მამობის უფლება, ანუ ამბავი ერთი დაკითხვისა". როგორც ჩანს, ასეთ ამბებზე, „გულმაუწყ" მამებზე მეტი უნდა დაიწეროს, თუნდაც იმიტომ, რომ მათი შეცდომები არ განმეორდეს და იკლოს ბავშვთა სახლების აღსაზრდელებმა.

—ვაკას უცებ სახე გაუნათდა. მიხვდა, როგორ უნდა დაეწერა ნარილი ბიჭზე, რომელმაც ულირს მამასთან ცხოვრებას უპატრონო ბავშვთა სახლში ყოფნა არჩია. ახლა იგრძნო, რა აკლდა, რას ეძებდა. მაშინვე ჩაუჯდა საბეჭდ მანქანას. დილამდე ნაწერი ნაწარმოები და დასრულებული, თითქოს განაჩენი გამოუწერა უსულგულო მამებისათვის. მერე კალამი დადო, შუბლი მოისრისა, საყვარელი პოეტის წიგნი აიღო და უნებურად ხმამაღლა წაიკითხა: — „მარტო გაჩენა რა ბედენაა თუ შვილის გაზრდას არ დაუდებ ამაგს, გაზრდილი დედა, ათჯერ დედაა, გაზრდილი მამა — ათასჯერ მამა". — გაიღიმა, შვებით ამოისუნთქა, თითქოს იმ ქრონიკოლოგიან კითხვას გასცა პასუხი, რომელიც ასე აწვალებდა და რომლის დაუწერელობის გამო მთელი დღე ასე ცდილობდა.

ტელეფონმა დარეკა, მოისმა ნაცნობი და ახლობელი ხმა. ნათელა ინაური რეკავდა, გამოვდის თუ არა ნარილი. ვაკას თითქოს გული გაუჩერდა, ენა ვერ დაძრა, ბოლოს, ტკივილი და სიყვარული ერთად მოაწვა ყელში.

— ვაკა, შვილო? რა მოგდის, ვაკა? — მოისმა შეშფოთებული ხმა და ვაკა მოულოდნელად ხმამაღლა ახლეუნდა — დედა, დედა!



# ალმასის ჯვარი



მარო მაყაშვილი

ერთდროულად ჩაესვენა 1921 წლის თებერვალში პოეტ კოტე მაყაშვილისათვის დამოუკიდებელი საქართველოს და მისი 19 წლის ასულის — მაროს მზე... მწუხრი დაიწყო....

გლოვის დღედ გამოცხადდა 23 თებერვალი, როდესაც სამშობლოს დედაქალაქის გადასარჩენად დაღუპულ ჯარისკაცებთან ერთად მარო მაყაშვილის ნორჩი სიცოცხლე გამოიტირა.

...თებერვალმა დაიზამთრა სამუდამოდ მაისით, — წერდა გულმოკლული მამა-პოეტი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი და მაროსადმი მიძღვნილი მისი ლექსის სტრიქონები ცრემლიან სიმღერად იქცა:

„ჩემო გმირო და წმინდანო, გამამხნევე მშობელო,
სამშობლო თუ შენ — რომელი, ახ, კვირო რომელი?!
დავეძი ცრემლად ორივესთვის სხვათა ცრემლის მშრობელი..."

25 თებერვლის შემდეგ მინდისფერი ეროვნული დროშის ნაცვლად ქართულ სისხლში ამოვლებული წითელი დროშა აფრიალდა საქართველოში და ანეკსირებული ქვეყანა ბელშილა ატარებდა სამშობლოსათვის თავდადებულთა ხსოვნას.

...მაინც როგორ მოხდა, ცამოწმენდილზე რომ მეხივით გაისმა თებერვალში თბილისის მისადგომებთან ზარბაზნების გრიალი?! მოულოდნელად მოადგნენ თბილისის კარიბჭეს წითელი არმიის ნაწილები. საჭირო გახდა კოჯრისა და მაჩხაანდა-სოღანლუღის მიდამოების გამაგრება. ქუდზე კაცი გამოვიდათ, — ასე მოწოდება სწორედ, კაცებს ქალებმაც აუბეს მხარი!

17 თებერვალს ქართული უნივერსიტეტის სტუდენტობასთან ერთად სათხოვბის დიდ წავიდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მეორეკურსელი მარო მაყაშვილი, რომლის ძმაც, გიმნაზიელი შალვა მაყაშვილი, დღეს ცნობილი მხცოვანი მხატვარი, უკვე მოხალისეთა რაზმს გაჰყოლოდა ფრონტზე.

მაროს მიერ ნაჩქარევად დაწერილი, ფრონტიდან ხელზე გამოტანებული ბარათი იმედიანი იყო.

„საყვარელო დედა და მამა!

ჩვენ ცხლა ტაბახმელაში ვდგავართ. იუნკერებს მივეშველეთ. მათთან ერთად ვიყავით. დარდი ნუ გაქვთ. სად არის შალიკო, იქნებ წითელი ჯვარიდან წერილით მაცნობოთ, ძალიან ვწუხვარ. თუ ჩვენებისკენ რომელიმე სანიტარული რაზმი მოდის, ასეთი მისამართით მაცნობეთ: მეორე შემხვევთა რაზმი ეკ. ხოჭოლავასი. ჩემთვის..."

...რომელიღაც დუქანში გათეული ერთი ღამის შემდეგ მაინც მხნეობა — მითუმეტეს, რომ ცნობილი გახდა ქართული ლაშქრის იმჯერა წარმატებები. ეს მაროს მეორე წერილშიც ასახა:

„მე ჯერჯერობით კარგად ვარ. სულ ერთი პოზიციისაგან ნახევარ ვერსზე ვართ, მეორისაგან — 5 თუ 7-ზე. მტერი ჯერ შორს არის. ძალიან სცხებენ ჩვენები. ძალიან აღფრთოვანებული არიან. შალიკოს ამბავი გავიგეთ მხოლოდ, ყველანი ძალიან მადლიერი არიან ჩემით. გკოცნით ბევრს. ცოტა თბილი თუ შესაძლებელია და რამე ტკბილი გამომიგზავნეთ... სად არის შალიკო?.. ისე არ ცივა. ნუ გეშინიათ, გავიმარჯვებთ სახელოვნად".

1921 წლის 18 თებერვლით არის დათარიღებული ეს ბარათი, რომელიც მწერალ იოსებ მჭედლიშვილს ნამოუტანია კოტე მაყაშვილისათვის. 18 თებერვალს ქართველობამ მართლაც მნიშვნელოვანი [illegible] მოიპოვა...

ეს არის და ეს...

მეორე დღეს [illegible] ტრიალდა — 19 [illegible] დისწერით [illegible] ლამოიანს, [illegible] დაჭრილებით სავსე ორთვალაზე მიმავალი მტრის ყუმბარამ იმსხვერპლა...

მერე ისევ მამა დაწერს შვილის მცირე ბიოგრაფიაში: „სამშობლოს აღდგენისა და ქართველი ერის კეთილდღეობის იდეით იყო მთლად გამსჭვალული. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ იდეისკენ იყო მიმართული მისი გონება და გული". იქვე აღნიშნავს, რომ ზედმიწევნით იცოდა ქართული ლიტერატურა, წერდა მშვენიერი ქართულით და იმედს იძლეოდა, რომ ჩინებული მწერალი გამოვიდოდა მომავალში"...

რატომაც არა! ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი, პოეტის ასული! აკი ჯერ კიდევ მაშინ განიცადეს მშობლებმა სიამაყე, როცა გიმნაზიელმა მარომ ქართველი ქალის შესახებ წაიკითხა მოხსენება მე-7 კლასის გამოსაშვებ საღამოზე.

ამას მისივე დღიურიდან ვიგებთ:

„გაუმარჯოს საღამოს, გამოსაშვებს. მე წავიკითხე „თავისუფალი ქართველი ქალი". მშობლები ამ საღამოთი აღტაცებაში მოვიდნენ. ჩვენც ბედნიერები ვიყავით იმ დღეს (ასახელებს განუყრელ მეგობრებს ტასო რამიშვილს, ქეთო ჯაფარიძეს, ნ. ღ.)...

...ძალიან ვღელავდი, როცა ვკითხულობდი, მაგრამ ყველას მოეწონა, მილოცავდნენ, მითხრეს დაბეჭდეო. ჩვენს მოძღვარს მოეწონა და აღტაცებაში მოვიდა იმით, რომ მე ჯერ ერთი კარგად წავიკითხე და მეორე ის, რომ გულზე ალმასის ჯვარი მეკიდა. დაუწყო მამას, ეგ ერთადერთი იყო, რომელსაც ჯვარი ეკეთა. მისი გზა ასეთი და ასეთი იქნებაო — ქადაგობა დაუწყო. როცა მიამბეს, თანაც შემაშინა და თანაც გამეცინა".

ვინ რომ ახლა მოიძიებს წინასწარმეტყველება — მოწამებრივი გამოდგა [illegible] 1919 [illegible] მოიცავს მთლიანად, მაგრამ [illegible] სა და თვით მაროს სულში 1918 წლის 26 მაისმა — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღემ. 1919 წლის 24 მაისს იგი ჩაწერს:

„26-ში დიდი ზეიმია მოსალოდნელი... დაჭრილებით ავსწერ, როცა ვნახავ ამ უდიდეს დღესასწაულს ქართველთა ცხოვრებაში. 1 წელი საქართველოს დამოუკიდებლობის — მართლაც რომ იშვიათი მოვლენაა. ეული გადატყდა და თავისუფალი კრივი აღმართა ქართველმა, დადაგულმა და დაჩაგრულმა ერმა. რა მოვესწრებით, ჯერ ძნელია თქმა! ამ უქმეს ჩვენს სასწავლებელშიაც უქმობენ..."

აი, სწორედ საიმედოდ დაუვალებიათ მაროსათვის თემა ქართველ ქალზე, რითაც საოცრად გაზარებულია და ქებაც დაიმსახურა.

„...მტკიცე ნებისყოფის ადამიანი ჯვალოგურს ატანსო", — ასე სწამდა მარო მაყაშვილს და თავისი თავგანწირვით დაამტკიცა კიდეც ეს სიტყვები... ალმასის ჯვარი კი ბედისწერის ნიშანი იყო, ალბათ...

• • •

შარშანდელმა 9 აპრილის ტრაგედიამ თითქოს გამოიხმო მაროს აჩრდილი... იგრძნო ახალი განსაცდელი თავისი ქვეყნისა, მაგრამ თბილისელებში მასზე მიძინებულმა ხსოვნამ ჯერ კიდევ მაშინ გაიღვიძა, როცა ელგუჯა ამაშუკელმა ქართველი ქალის ქანდაკების კვარცხლბეკად სწორედ კოჯრის მიმდებარე მთის თხემი შეარჩია. დიახ, ეს არამცდაარამც არ იყო შემთხვევითი ამბავი და, თანაც ესეც ხომ 1956 წლის სისხლიანი 9 მარტის შემდეგ მოხდა...

ნანა ღვინეფაძე

# ბავშვებს მშობლები ზრდიან, მშობლებს — ვინღა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვის აღზრდაში მშობლებს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ. მათ ვერავინ შეცვლის. უწინარესად, მშობლები ქმნიან და ძერწავენ ყმაწვილის პიროვნებას. აი, რად არის აუცილებელი ვიცოდეთ, თუ როგორ ვართმევთ თავს ისეთ რთულსა და პასუხსაგებ საქმეს, როგორიც მოქალაქის პიროვნების ჩამოყალიბება გახლავთ.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი შეკითხვები და ეცადეთ გულწრფელად გასცეთ პასუხი. ამ ტესტის მეოხებით შეგიძლიათ შეაფასოთ, თუ როგორი ხართ, როგორც მშობელი და თქვენთვის მნიშვნელოვანი დასკვნებიც გამოიტანოთ ბავშვთა აღზრდის პრობლემებზე.

| კითხვები | პასუხები | | |
|---|---|---|---|
| შეგიძლიათ თუ არა, რომ | შემიძლია და ყოველთვის ასე ვიქცევი | შემიძლია, მაგრამ ყოველთვის ასე არ ვიქცევი | არ შემიძლია |
| 1. ნებისმიერ დროს თავი ანებოთ ყოველგვარ საქმეს და ბავშვს მიუჯდეთ? | ა | ბ | გ |
| 2. მოეთათბიროთ და რჩევა ჰკითხოთ ბავშვს მისი ასაკის მიუხედავად? | " | " | " |
| 3. აღიაროთ ბავშვთან, რომ მის წინაშე სწორად არ მოიქეცით? | " | " | " |
| 4. ბოდიში მოუხადოთ, თუ უსამართლოდ მოეპყარით? | " | " | " |
| 5. თავშეკავება გამოიჩინოთ, თუნდაც ბავშვის საქციელმა მოთმინება დაგაკარგინოთ? | " | " | " |
| 6. საკუთარი თავი წარმოიდგინოთ ბავშვის ადგილზე? | " | " | " |
| 7. წუთით მაინც წარმოიდგინოთ, რომ კეთილი ფერია ხართ (ან ზღაპრული უფლისწული)? | " | " | |
| 8. უამბოთ ყმაწვილს საკუთარი ბავშვობიდან რაიმე ჭკუის სასწავლი შემთხვევა, რომელშიც მთლად კარგად ვერ გამოიყურებით? | " | " | " |
| 9. ყოველთვის შეიკავოთ თავი ისეთი სიტყვებისაგან, რომლებსაც შეუძლია ბავშვს გული მოუკლას? | " | " | " |
| 10. დაპირდეთ ბავშვს: თუ კარგად მოიქცევი, ამას და ამას შეგისრულებო? | " | " | " |
| 11. გამოუყოთ ბავშვს ერთი დღე, როცა მას შეეძლება ის აკეთოს, რაც გაეხარდება, ისე მოიქცეს, როგორც მოესურვება და თქვენ არაფერში ჩაერიოთ? | " | " | " |
| 12. არაფრად ჩააგდოთ, თუ თქვენმა ბავშვმა გაარტყა, უხეშად ხელი ჰკრა, ან უმიზეზოდ აწყენინა სხვის ბავშვს? | " | " | " |
| 13. ხვეწნა-მუდარისა და ტირილის მიუხედავად, არ აუსრულოთ ბავშვს თხოვნა, თუ კი დარწმუნებული ხართ, რომ ეს ჭირვეულობაა, წუთიერი ახირებაა? | " | " | " |

დაითვალეთ ქულები: პასუხი „ა“ 3 ქულას უდრის, „ბ“ — 2 ქულას, ხოლო „გ“ — 1-ს.

თუ თქვენ 30-დან 39-მდე ქულა მოგიგროვდათ, ეს ნიშნავს, რომ ბავშვი თქვენთვის ყველაზე ძვირფასია ცხოვრებაში. თქვენ ცდილობთ არა მარტო გაუგოთ მას, არამედ შეიცნოთ კიდეც, პატივისცემით ეპყრობით, აღზრდის პროგრესულ პრინციპებს მისდევთ, ცდილობთ მუდამ ერთნაირი იყო, ერთ ხაზს მისდიოთ, ერთი სიტყვით, სწორად იქცევით და იმედი უნდა იქონიოთ, რომ კარგ შედეგსაც მიაღწევთ.

16-დან 30 ქულის დაგროვება ნიშნავს, რომ ბავშვისათვის ზრუნვა თქვენთვის უპირველესი ამოცანაა. გაქვთ აღმზრდელის ნიჭი, უნარი, მაგრამ მიზანდასახულად და თანამიმდევრულად ამ უნარს ვერ იყენებთ. ხან ზედმეტად მკაცრი ხართ, ხან — ზედმეტად რბილი, ამის გარდა, ხშირად მიდიხართ დათმობაზე, რაც უეჭველად ასუსტებს აღმზრდელობით ეფექტს. გირჩევთ, სერიოზულად დაუფიქრდეთ თქვენი აღზრდის მეთოდს.

16 ქულაზე ნაკლები თუ მოაგროვეთ, ეს იმას მოწმობს, რომ ბავშვის აღზრდის საქმეში დიდი ხარვეზები გაქვთ. ან საამისო ცოდნა გაკლიათ, ან იმისი სურვილი და სწრაფვა, რომ ყმაწვილი პიროვნებად აქციოთ.

# ტყუპების ზეიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრადიციას არ ღალატობს ქალაქ თბილისის ბავშვთა მე-10 პოლიკლინიკა. რამდენიმე წელია, რაც აქ ბავშვთა დაცვის დღეს — 1 ივნისს საგანგებოდ აღნიშნავენ პატარებისადმი მიძღვნილი რაიმე ღონისძიებით. ასე იყო ამჯერადაც. 48 ტყუპსა და 156 მრავალშვილიან ოჯახს გულღიად უმასპინძლეს პოლიკლინიკის მუშაკებმა და მოწვეულმა სტუმრებმა. ჩვენ არ ვაპირებთ ამ პოლიკლინიკის შესახებ თხრობას, რამდენიმე წლის წინათ ჩვენს მკითხველებს გავაცანით იგი, რომლის მოწყობა-გალამაზებაში მაშინდელმა გამგემ ლალი გუჯაბიძემ მთელი გული და სული ჩადო. კოლექტივი დღესაც თვალისჩინივით უფრთხილდება მის ნაამაგარს.

ნამდვილი საზეიმო განწყობილება სუფევდა საავტომობილო ტრანსპორტისა და გზათა სამმართველოს კლუბში (ეს გვერდითი შენობა საგანგებოდ დაუთმეს იმ დღეს). გემოვნებით მორთული ბავშვების ღიმილი, სიცილ-კისკისი იფრქვეოდა დარბაზში, ჟღერდა მუსიკა „...დაე, მუდამ იყოს დედა, დაე, მუდამ ვიყო მე“.

ამ ღონისძიების ჩატარებაში პოლიკლინიკის მუშაკებს მხარი აუბეს ბავშვთა ფონდმა, სახალხო განათლების სამინისტროს მომარაგებაგასაღების სამმართველომ (უფროსი გერა გოდერძიშვილი), ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ და მაღაზია „ბავშვთა სამყარომ“, რომელმაც საგანგებოდ შეარჩია მიმზიდველი სათამაშოები და ლოგინის თეთრეული.

პატარებს მიესალმა და მომავალ დამოუკიდებელ საქართველოში ბედნიერი ბავშვობა უსურვა პოლიკლინიკის მთავარმა ექიმმა მედეა ზარნაძემ, ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსმა ლალი გუჯაბიძემ, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ნინო უზნაძემ, განყოფილების გამგემ ეთერ ჯანელიძემ, პოლიკლინიკის კულტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგემ თამარ ცინცაძემ.

საგანგებო ყურადღების ცენტრში იყვნენ მარინა და ნანა სამარგულიანების დაობლებული შვილები — ნუციკო, ალეკო და რუსუდანი, განსაკუთრებით მიეფერნენ და მიუალერსეს საქართველოსთვის დაღუპულ დედათა ფესვებზე ამოსულ სამ ყლორტს.

ნინო არჩვაძე



ვარლამ ბენზიერის ფოტოები

ლია ჭავჭავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თამუნას ტაძარი

მე ვარ ტაძარი ნინოწმინდის.
მზე მოალერსე მინათებს ყვავილს,
შაოსან კაცზე ნურაფერს მკითხავთ, პასუხი მიმძიმს,
ჩემს ყველა კედელს უგრძვნია სითბო მისი ხელების,
სახლი ვარ მისი, თავშესაფარი,
მე ვარ ტაძარი ძველთაძველი,
სახლი ვარ მისი, თავშესაფარი და მეფერება და განმაახლებს,
ჩემს სავანეში მიძინებულ მის გოგონას ფხიზლად ვდარაჯობ
და ღამღამობით გულს მიკაწრავს ამ კაცის გმინვა.
და ცოლი მისი დნება და დნება,
ჩემს სავანეში გძინავს, ჩემო მეგობარო და ჩემო შვილო,
გძინავს
თამუნა ჭოველიძევ, ჩემო ყვავილო, უკვდავების წყლით
ნაპკურებო.
მიმოდის ხალხი და გამოხედვა მამაშენისა აქვავებს წამით
და მწარე ცრემლად გადაქცეულნი, ვეფხვად სტოვებენ
ძველთაძველ ტაძარს:
ვერც ინატრებდი, ცავ, უკეთესზე
(გამოუთქმელი მაწამებს დარდი),
გავა ჟამი და ჩემს ძველ კედელზე
გამოანათებს თამუნას ხატი;
გავა ჟამი და ვინაც ჯვარს აცვა,
დაეუფლება წყვდიადის თალხი,
გავა ჟამი და თამუნას ტაძარს,
თამუნას ტაძარს მიწოდებს ხალხი.

## ხატთაგან განძარცვა

აყვავებული ატმის ხე ხარ
წუთისოფლის მტვრიან შარაზე
და ქარიშხალი დაუნდობელი,
ვითა ტაძარს ხატებისაგან,
გძარცვავს და გძარცვავს,
მაგრამ შენ დგახარ მოყვავილე, ჩუმი,
ნეტარი,
შენ მაინც დგახარ...

* * *

ვიღაცა,
იდუმალი,
მარადიულად
თან რომელიც მდევს,
მიჩვენებს
მამადავითს,
კვეტარს,
აწყურს,
გელათს
და გრემს,
და მეჩურჩულება:
— ყველაფერს
წაგართმევენ,
ყველაფერს, ყველაფერს,
ყველაფერს,
რაც ცუდად ძევს...

## მოწყენილი ორღანი

როცა მე იგი ისევ ვიხილე,
ბავშვობაში მიტოვებული,
ვიღაც მსუქანი ქალიღა შემრჩა,
ნებიერად
ჩაფლული ბეწვში.
სულ ოთხი სიტყვა მესმა მისგან —
ბრილიანტები,
ხალიჩები,
ოქრო,
ბროლები,
(გარეთ გალობდა ორღანი ჩუმად),
ის ქვეყანა სადღაა ნეტავ,
გულუბრყვილობა და სიკეთე სად უხვად მოჩანს
ბავშვებისა და შვლების თვალებში,
სად გულს ისევე დაუნანებლად უწვდიან ხოლმე,
ვით პურსა ანდა გვირილების მშვენიერ გვირგვინს.
...მე ვნახე,
როგორ უბრწყინავდა თვალები იმ ქალს,
როს უძვირფასესს ლარნაკს უმზერდა,
მეგობარი კი თურმე მოკვდა დიდი ხნის წინათ...
— ისევ მარტო ხარ?
რაო, რაო, კაცი ვერ ნახე?
არ გადამრიო, ეგ რა მითხარი,
რაო? გრძნობაო?
ერთი შენცა, მოგცლია ნაღდად,
ათასს თუ მაინც გამოდიხარ თვეში, მითხარი,
არა? უიმე, წასულია მაშ საქმე შენი.
— ჩემი დედიკო ლამაზია ბრილიანტივით,
ტიტინებდა პატარა გოგო, შვილი იმ ქალის,
ბეწვში ჩაფლული უცხო ქალი უმზერდა ლარნაკს
(ჩუმად გალობდა მოწყენილი ორღანი, ჩუმად),
მეგობარი კი მოკვდა თურმე დიდი ხნის წინათ,...
სად ხარ,
მითხარი,
მეგობარო,
მითხარი, სად ხარ?
ვეძახი და მივტირი იმ ბავშვს.



ტატიანა შატილოვა (ცენტრში) თანამშრომლებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტატიანა შატილოვა

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ტატიანა შატილოვა დაიბადა პოპულარული ექიმ-ოფთალმოლოგის, ქართული სამეცნიერო ოფთალმოლოგიის ერთ-ერთი დამაარსებლისა და საზოგადო მოღვაწის პროფესორ ალექსანდრე შატილოვის ოჯახში.

სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1936 წელს, ტატიანა შატილოვამ მუშაობა დაიწყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრაზე, კლინიკურ ორდინატორად, სადაც მუშაობდა მამის ხელმძღვანელობით.

ტატიანა შატილოვამ დააარსა საქართველოში თვალის ტუბერკულოზის პირველი სამკურნალო კაბინეტი და თვალის ჰისტოპათოლოგიური ლაბორატორია, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიბიოტიკებით მკურნალობის შემოღებამდე. ჰისტოპათოლოგიის შესწავლისათვის შატილოვა მუშაობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე აკად. ვლადიმერ ჟღენტის ხელმძღვანელობით და მოსკოვის ოფთალმოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში პროფესორ ე. ლევკოევას ხელმძღვანელობით.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ტ. შატილოვა გაიწვიეს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო სამკურნალო დაწესებულებებში ოფთალმოლოგად. დემობილიზაციის შემდეგ კვლავ თვალის სნეულებათა კათედრას დაუბრუნდა. 1946 წელს მან ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ამავე წელს აირჩიეს თვალის სნეულებათა კათედრის ასისტენტად.

1948 წლიდან ტ. შატილოვა შეუდგა მუშაობას ისეთ რთულ პრობლემაზე, როგორიც არის გლაუკომა. ამასთან დაკავშირებით იგი არაერთხელ იმყოფებოდა შემოქმედებით მივლინებაში მოსკოვის ჰელმჰოლცის სახელობის ოფთალმოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

1953 წელს ტ. შატილოვა აირჩიეს რიაზანის ი. პავლოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრის გამგედ. აქ მას მუშაობა მოუხდა ისეთ ცნობილ მეცნიერებთან, როგორებიც იყვნენ პროფესორები ანოხინი, კარლიკი, ფეიერმანი და სხვები. რიაზანში ტ. შატილოვას მიერ ჩამოყალიბებული თვალის სნეულებათა კათედრა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საბჭოთა კავშირში. იქვე მან დააარსა საოლქო სამეცნიერო ოფთალმოლოგიური საზოგადოება.

1959 წელს ტ. შატილოვამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1960 წლიდან თბილისს დაუბრუნდა. აქ მას ირჩევენ სამედიცინო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრის პროფესორად, ხოლო 1964 წელს (ამ კათედრის გამგის პროფ. ივანე სიხარულიძის გარდაცვალების შემდეგ) კათედრის გამგედ, სადაც დღემდე მუშაობს.

ტ. შატილოვამ კათედრის მუშაობაში შეიტანა კვლევის თანამედროვე მეთოდები და კათედრა სამეცნიერო პრაქტიკული მუშაობით ქვეყნის წამყვანი კლინიკების დონეზე დააყენა. მისი ხელმძღვანელობით კლინიკამ ერთ-ერთმა პირველმა აითვისა თვალის მიკროქირურგიული ოპერაციები, მისი ინიციატივით კათედრაზე და მთლიანად საქართველოში გაფართოვდა ოფთალმოქირურგიული ოპერაციების დიაპაზონი, დაინერგა კატარაქტის ექსტრაქციის ახალი მეთოდები, კერძოდ, ანტიგლაუკომატოზური და ბადურის ჩამოშლის საწინააღმდეგო ოპერაციები, ბლეფაროპლასტიკა, კერატოპლასტიკა, მელიტირებული რქოვანა გარსისა და სკლერის გადანერგვა, ე. წ. ორბიტალური ოპერაციები, მიოპიის სამკურნალო ოპერაციები და სხვ.

ტ. შატილოვა დიდ ყურადღებას უთმობდა პრეს ბიოფსიის პროფილა-

ქტიკისა და მკურნალობის საკითხებს, შემუშავებული აქვს მისი პროფილაქტიკის მეთოდები. ხანგრძლივი, მრავალწლიანი კლინიკურ-ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე ტ. შატილოვას მიერ აღმოჩენილია ნელი ბიოდენების გენერაცია ცილიარული სხეულის რეფლექსოგენურ ზონაში, რის საფუძველზეც შექმნილია ოფთალმოლოგიური კვლევის ახალი მეთოდი. — ელექტროცილიოგრაფია. მსოფლიო ოფთალმოლოგიურ ლიტერატურაში პირველად ტ. შატილოვამ აღწერა რეცეპტორული ველი ცილიარული სხეულისა და სკლერის საზღვარზე, რომლის საფუძველზეც შეიმუშავა თვალშიდა წნევის გამოკვლევის ახალი მეთოდი და რომელიც თბილისის გარდა დაინერგა საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების კლინიკებშიც. ტ. შატილოვას ხელმძღვანელობით დადგენილია ბადურის სისხლძარღვების ცვლილებათა სახეები გლაუკომის დროს და ჩამოყალიბებულია გლაუკომის ადრეული დიაგნოსტიკის მეთოდი.

ტ. შატილოვამ შეიმუშავა და დანერგა ორიგინალური ოპერაციები ოფთალმოქირურგიაში. ასეთებია: პირის ღრუს ლორწოვანი გარსის გადანერგვა ფეხზე კონიუქტივურ სივრცეში მძიმე სიდამწვრების დროს (ოპერაცია შევიდა სამხედრო-ოფთალმოლოგიურ სახელმძღვანელოში), ოპერაცია გლაუკომის დროს და ოპერაცია სექტორული ლიმბოტომიით მიოპიის დროს. ყველა ზემოაღწერილი ოპერაცია დაცულია საავტორო მოწმობებით.

ტ. შატილოვა 136 მეცნიერული ნაშრომის ავტორია. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 10 საკანდიდატო დისერტაცია, მოამზადა 7 ასპირანტი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებთან.

ტ. შატილოვა საქართველოს ცალკეულ რეგიონთა კურატორია ოფთალმოლოგიის დარგში და მოსახლეობას სისტემატურად უწევს მაღალკვალიფიციურ დახმარებას, ხოლო ოფთალმოლოგებს მეთოდურ კონსულტაციებს.

ტ. შატილოვა ქ. თბილისის მრავალი სამკურნალო დაწესებულების კონსულტანტია წლების მანძილზე. იგი ხელმძღვანელობს თბილისის ოფთალმოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებას.

ვუსურვოთ დიდ მეცნიერს, შესანიშნავ ექიმსა და პედაგოგს ხანგრძლივი სიცოცხლე და შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები.

თამარ დეკანოსიძე,
ლევან მაჭავარიანი,
თამაზ ალექსიძე.

# საქართველოს მომავალი

ახალი თაობის აღზრდა სკოლამდელი დაწესებულებების უმთავრესი ამოცანაა, ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში იწყება პიროვნების ჩამოყალიბება და თუ როგორი იქნება ის, მომავალი საქართველოს მშენებელი, ამაში დიდ როლს ასრულებს ოჯახური გარემოცა და საბავშვო ბაღიც.

წლეულს რკინიგზის მე-16 ბაგა-ბაღში ოცდამეხუთე გამოშვება იყო. საზეიმოდ, ლამაზ კაბებსა და კოსტუმებში გამოწყობილი გოგო-ბიჭები შემოდიოდნენ დარბაზში, სადაც მათ დედები, მამები, დები, ძმები ელოდნენ. დარბაზის ერთ ნაწილში, მინიატურულ სცენაზე ჩვენი პატარა მსახიობები ცეკვავდნენ და მღეროდნენ, ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ჭიდაობაში, გვიჩვენებდნენ კარატეს ილეთებს. მათ მიერ მოგვრილი სიხარული მთელ დარბაზში იფანტებოდა, განსაკუთრებული წუთები დადგა, როცა ბავშვების წვრილი ხმები გაერთიანდა „სამშობლოს" სასიმღეროდ, როცა ჩაბნელებულ დარბაზში სანთლების შუქზე „ტიტების" სიმღერა გაისმა.

ბოლოს, დადგა მოწმობებისა და სამახსოვრო ალბომების გადაცემის სასურველი წამები. მოწმობებში ჩაწერილია აღმზრდელის დაკვირვება თითოეულ ბავშვზე, იქვე აღნიშნულია პატარას მიერ არჩეული მომავალი პროფესია. ბაგა-ბაღის გამგე ჟუჟუნა ნიჟარაძე ამაყად აცხადებდა მომავალი ექიმის, მასწავლებლის, მილიციის უფროსის, გამომძიებლის გვარებს და შუბლზე კოცნით ულოცავდა მათ გზას.

ძნელი იყო დაშორება მუსიკის მასწავლებელ რუსუდან ყაველაშვილთან, მეთოდისტ ლეილა ებრალიძესთან, მაგრამ ყველაზე მეტად გაუჭირდათ გამოთხოვება მზია გნოლიძესთან, ვინაც სამ წელიწადს აფრთიანებდა, ზრდიდა ისე, როგორც თავისი სამი ვაჟი გაზარდა. იგი სულ ახალგაზრდა მოვიდა აქ ოცდახუთი წლის წინათ და დღესაც ახალგაზრდაა. მას ორჯერ ზედიზედ მიეკუთვნა ქალაქის საუკეთესო პედაგოგის საპატიო წოდება.

ბავშვებთან დაშორებით გულაჩუყებული საუბრობდა ქალბატონი ჟუჟუნა ბაგა-ბაღის ცხოვრების შესახებ: მათთან მუშაობს ჭადრაკისა და კარატეს შემსწავლელი წრეები, გაახალგაზრდავდა პედაგოგთა და აღმზრდელთა შემადგენლობა, პატარების ხშირი სტუმარია მამა თადეოზი, რომელმაც 9 აპრილის მძიმე დღეებში მათთან წირვა ჩაატარა და ბავშვებმა მთელი თავიანთი მწუხარება გადმოღვარეს. ბაღში მუშაობენ ახალგაზრდა მზარეულები, რომლებიც გემრიელი ქართული კერძებით უმასპინძლდებიან აღსაზრდელებს.







დავით იაკობაშვილის ფოტოები

მამული, ენა, სარწმუნოება — ამ პრინციპზეა გარდაქმნილი დღეს საბავშვო ბაღის მუშაობა. ორი რუსული ჯგუფი, რომლებიც დაარსების დღიდან ჩამოყალიბდა, ქართულ ჯგუფებად გადაკეთდა და იქ მყოფმა რუსმა ბავშვებმა მშვენიერი ქართული ისწავლეს, ქართულად მღერიან, ლექსებს კითხულობენ.

როგორც საუბრიდან გამოირკვა, საბავშვო ბაღს ბევრი გადაუჭრელი პრობლემა აწუხებს — შენობა დაძველებიათ, წინ აღმართულ მრავალსართულიან სახლს ჰაერის მოძრაობა შეუწყვეტია. ახლა კი გვერდით საცხოვრებელი სახლის მშენებლობაც მოუნდომებიათ, მაგრამ ბაღის ადმინისტრაცია მტკიცე უარზე დგას.

უპრობლემოდ ხომ წარმოუდგენელია დღევანდელი ცხოვრება, ჟუჟუნა ნიჟარაძე ბევრს ფიქრობს მშობელთა შრომის შემსუბუქებაზე. მისი უახლესი მიზანია საათობრივი ჯგუფების შექმნა — მშობლებს დღის რომელ მონაკვეთშიც მოუხერხდებათ, მაშინ შეეძლებათ მოიყვანონ პატარები.

ამის გარდა, ბევრი მათი აღზრდილი, რომელიც ამჟამად სკოლაში დადის, ჯერ კიდევ ისეთ ასაკშია, რომ უფროსების ყურადღება ესაჭიროება. ხანგრძლივი საზაფხულო არდადეგების დროს ისინი უმეთვალყურეოდ რომ არ დარჩნენ, მათთვის მშობლიურ ბაღში სპეციალური ჯგუფები ჩამოყალიბდება.

იმედია, რკინიგზის სამმართველოს დახმარებით ბევრი კარგი ჩანაფიქრი განხორციელდება.

ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

თამარ ნინიძე

# ქალთა საბჭოებში

ქალთა საბჭოების როლი და ადგილი რესპუბლიკის თანამედროვე საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში — ასეთი იყო თემა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების სემინარისა, რომელიც ა. წ. 6, 7 და 8 ივნისს ჩატარდა ქ. თბილისში.

სემინარი გახსნა რესპუბლიკის ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჯავახიშვილმა: რესპუბლიკის პოლიტიკური და ეროვნული პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, ეროვნებათა შორის ურთიერთობის არსი და პრობლემები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და გაერთიანებების როლი საზოგადოებრივ პოლიტიკური ვითარების ფორმირების საქმეში, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა, საპენსიო უზრუნველყოფის და დახმარებისა და საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფცია და საბაზრო ეკონომიკა, ქალთა შორის სამართალდარღვევის მდგომარეობა. ამ საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ სემინარის მონაწილეთა წინაშე შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რ. ჯაფარიძე, შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრების მოადგილეები ნ. უზნაძე და ც. გუგავა. ლექტორები ლ. ტუხაშვილი, რ. მიმინოშვილი, დ. გეგეშიძე, დ. იაკობიძე, თ. ლაღიძე, ი. ღლონტი. მეტად საინტერესო იყო ქალთა საბჭოს თავმჯდომარეების გამოსვლები, მიეძღვნა მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით. დაისვა ბევრი პრაქტიკული საკითხი. სემინარის მუშაობა შეაჯამა და კითხვებზე პასუხი გასცა ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. კვაჭაძემ.

დაბოლოს, სემინარის მონაწილეები შეხვდნენ ჟურნალ „მანდილის" რედკოლეგიის წევრებს ლ. კაკაბაძეს, ე. ჯაფარიძეს, ნ. თარგამაძეს, ჟურნალის მუშაობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა მისი მთავარი რედაქტორი მ. ბარათაშვილი. სემინარის მონაწილეებმა წამოაყენეს ბევრი საინტერესო საკითხი და მოითხოვეს მათი ჟურნალში გაშუქება. სემინარის მსმენელებს დაურიგდათ სხვადასხვა საცნობარო მასალები ქალთა საბჭოების მუშაობის საკითხებზე.

ზ. გელაშვილი



*განუკითხაობის კიდევ ერთი მაგალითი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთგულება

ღამის სისხლის ზღვაში ჩაიხრჩო სრულიად საქართველო... მოღალატემ და მტარვალმა არ დაინდო ნიჭიერი და მოაზროვნე... შუაღამისას იცოდნენ უშიშროების კომიტეტიდან, ახლა რომ სუკს და სუკის აგენტებს ეძახიან, დაუპატიჟებელი სტუმრობა. ეს მეთოდი 1937 წელს უფრო განმკაცრდა და დიდხანს მოქმედებდა. ერთხელაც, შეეშალათ მისამართი, ასეთები ხდებოდა მაშინ?!

დავით კანდელაკის ერთადერთი ვაჟის მძებნელები მეზობლად მცხოვრებ მის საცოლეს ეწვივნენ (საერთო ჰოლი ჰქონდათ კრილოვის 15 ნომერში). „ღამის ვიზიტით" დაფეთებულები წამოცვივდნენ. რა შეიძლება მომხდარიყოო, ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდნენ. აბა, შეკითხვას ვინ ვის მისცემდა. ზუსტი მისამართი მიასწავლეს და ის ახალგაზრდა გოგონაც შეიყოლეს, როგორც მეზობელი მოწმედ, ბინის გაჩხრეკაზე დასასწრებად. ყველაფერი გადმოაქოთეს, პირდაპირ თავგზა აუბნიეს ნამდვილ სპეტაკ და უმწიკვლო ადამიანებს. ეძებდნენ იარაღს, ლექსებს, ჩანაწერებს... ხელმოსაკიდი რომ ვერაფერი იპოვეს, ფარმაცევტული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ოთარ კანდელაკი მაინც გაუყენეს გზას გოლგოთისაკენ. საიდანაც დაბრუნება ერთეულებს თუ ეწერათ.

...და დაიწყო ყმაწვილის აუტანელი წამება. ძიებამ ოთარ კანდელაკი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფთან დააკავშირა. ჯგუფის ხელმძღვანელი გრიმარ ჩოჩუა იყო. გამორჩეული სტუდენტები იყვნენ ჩათრეულნი და ყალბად ბრალეულნი — გრიშა ჭოჭუა, შოთა ღოღუა, შოთა გიგინეიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი. ციხეში მათ დახვდათ იმდროისათვის საქართველოში გამორჩეული ნიჭიერი ახალგაზრდები: ლადო ბალიაური, კიტა ბუაჩიძე, ალექსანდრე ბეგაშვილი, სამსონ სულაკაური. პატიმრებს ბრალად ედებოდათ ტერორიზმი, დამოუკიდებელი საქართველოსათვის მებრძოლი ჯგუფის ორგანიზება-მობილიზება. ძიების პერიოდი სასტიკზე სასტიკი გამოდგა, ფეხქვეშ ითელებოდა ყოველგვარი ადამიანური... ჯურღმულების უსარკმლო საკნებში თვეობით გამოკეტილი, ცემისგან სასოწარკვეთილებამდე მისული პოლიტიკური პატიმრები იძულებული იყვნენ ტყუილები ელაპარაკათ, ყალბი ბრალდებები ეღიარებინათ, რათა ბოლო მოღებოდა ჩეკას მიერ წარმოებულ აუტანელ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზემოქმედებას. სამხედრო ტრიბუნალმა „ტროიკამ", ოცდაერთი წლის ოთარ კანდელაკს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა და ციმბირში სამუდამო გადასახლება მიუსაჯა. ფიზიკურად გადაურჩა განაჩენს ეს ახოვანი, ათლეტური გარეგნობის პოეტური ბუნების ახალგაზრდა, მაგრამ მის წამებას ბოლო მაინც არ უჩანდა. მან ოთხი წელიწადი თბილისის ციხეებსა და განმანაწილებლების საკნებში გაატარა. ფსიქოლოგიური ტერორისა და ათასგვარი ფსიქიკური ზემოქმედებისგან, რომელსაც თან ერთვოდა დროდადრო სპეციალურად მოწვეული სპორტსმენებისა და საგანგებოდ გაწვრთნილი გამოძიებლების გამუდმებული ცემა, დაერღვა წონასწორობის კოორდინაცია და სამუდამოდ დაყრუვდა.

ერთადერთი შვილის მამა — ცნობილი პროვიზორი დავით კანდელაკი შვილის დაპატიმრებიდან ორი წლის თავზე ტვინში სისხლის ჩაქცევით მოულოდნელად გარდაიცვალა, ხუთი წლის შემდეგ გულის განუკურნებელი სენით დედაც გაჰყვა მეუღლის კვალს.

პატიმარი დარჩა სულ მარტოდმარტო, უპატრონო და მიუსაფარი, საჭმლის მიმწოდებელი და ამბის მკითხველი არავინ იყო. ოჯახი ერთიანად გაპარტახდა, საოჯახო ნივთები განიავდა. ნათესავები და ახლობლები პატიმრის ნახვასაც ერიდებოდნენ. საშინელი დრო იყო. არავის ინდობდნენ, უბრალოდ არაფრისთვის წირავდნენ ადამიანს.

ერთადერთი, ვინც ეს მძიმე მოვალეობა იტვირთა, იყო ოთარის საცოლე, 22 წლის მარგო ჩიტაიშვილი.

დეკაბრისტების ცოლების სადარი გმირობა ჩაიდინა ქალბატონმა მარგომ. მისაბაძი და სამაგალითო ერთგულება გაუწია გულისსწორს. ოჯახში ემუდარებოდნენ მშობლები, და-ძმები ხელი აეღო სახიფათო გადაწყვეტილებაზე. კონტრრევოლუციონერის ცოლობა რა ხეირს დაგაყრის, დაგღუპავსო, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ, სიყვარულმა და ერთგულებამ გადასძლია. ათ წელიწადს მოლუშულმა, წარბგაუხსნელმა იარა სტუდენტმა ქალმა. ხელსაქმით შეგროვილი კაპიკებით გამოკვება ყველ-

ასგან გარიყული და მივიწყებული პატიმარი.

როგორც იქნა მიილია წამების ათი წელიწადი, დადგა ნანატრი დღე, ჩრდილოეთ ყაზახეთში, კრასნოიარსკის მხარეში გამგზავრებისა, სადაც სამუდამო საცხოვრებლად იყო განწირული ქართველი ვაჟკაცი. მარგოსთვის აუტანელი გამოდგა თხუთმეტდღიანი მგზავრობა. გემი, მატარებელი, ავტომანქანა და რა ტრანსპორტი არ გამოიცვალა, ვიდრე იმ საოცნებო ადგილამდე ჩააღწევდა. გემის კაიუტაში მიყუჟულ ახალგაზრდა, ლამაზ ქალიშვილს მუშტრის თვალით უთვალთვალებდნენ გამვლელ-გამომვლელნი. თვალს ძილი არ ეკარებოდა. გემის კაპიტნის თანაშემწე საქართველოში ნამყოფი გამოდგა. იცნობდა ქართულ ადათ-წესებს, გვერდიდან არ მოშორებია და იმან იხსნა დამფრთხალი ქალი ნერვიულობისაგან. მისუსტებულმა ძლივს ჩააღწია დანიშნულ ადგილს. ენით აუწერელი იყო გატანჯული წყვილის შეხვედრა.

...იქაური ჰავის შეუჩვეველ მარგოს გაუჭირდა 40-50 გრადუსიანი ყინვის ატანა. ზაფხულობით კოღოების გამო უპირბადოდ ფეხს ვერ დგამდნენ გარეთ, მაგრამ მაინც ქართული ოჯახი გააჩაღეს, საკარმიდამო ნაკვეთზე ბოსტანი ახარეს, გაიჩინეს პირუტყვი, ფუტკარი და პატარა თვითნაკეთ ბინაში სიმყუდროვემ დაისადგურა. მარგომ ექთნად დაიწყო მუშაობა. ოთარი დღე და ღამეს ასწორებდა. შეეძინათ ქალიშვილი — თამარი დაარქვეს.

ბევრმა პოლიტიკურმა პატიმარმა გულგატეხილობის გამო და ზოგმაც სხვადასხვა მოსაზრებებით უარი თქვა სამშობლოში დაბრუნებაზე. ოთარ კანდელაკი ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა, 1956 წელს საქართველოს მოაშურა, სადაც მისი ადგილის დედა და მისთვის შეწირული საყვარელი მშობლების საფლავების მეტი არაფერი ეგულებოდა. ბატონი ოთარი იმავე წელს აღადგინეს სამედიცინო ინსტიტუტში ფარმაცევტული ფაკულტეტის მესამე კურსზე.

დღეს აქვს ბედნიერი ოჯახი — შვილი ფარმაცევტია, შვილიშვილი მომავალი ფიზიკოსი და გვერდით ერთგული მოსიყვარულე მეუღლე. არის ხუთი წიგნის ავტორი, რომელშიც პოეტი გულწრფელი სტრიქონებით უმღერის სამშობლოს, სიკეთეს, სიმართლეს, კაცურკაცობას... ბედნიერ ხვალინდელ დღეს დამოუკიდებელ საქართველოში ხედავს.

**ნანული ბუკია**

# რა ვუთხრათ შვილთა მრავალთა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანუ ქალის თვალით დანახული გლეხური მეურნეობის ავ-კარგი

დედაენა, დედაბოძი, გუთნისდედა! ქართული აზრის მესაძირკვლეთ, შემთხვევით როდი დაუკავშირებიათ დედის სახელი ენასთან, ბოძთან, გუთანთან.

დედაენა ხომ მშობლიურ ენას ჰქვია, დედასავით ძვირფასსა და სანუკვარს!

დედაბოძი ხომ ის სიმაგრეა, თავისი მხრებით დედასავით საიმედოდ **რომ ეხიდება სახლსა და კარს, ეზოს და გარემოს!**

**გუთნისდედა** ხომ პურია ჩვენი არ**სობისა,** ჯიშისა და ჯილაგის გამრავ**ლებისა!**

მიწასაც დედას ეძახიან, მარჩენალ დედას.

მინდა გიამბოთ იმ ხარაგაულელ დედებზე, გლეხურ მეურნეობაზე გადასვლას დედის თვალით რომ უყურებენ.

* * *

ბორითისა და ხუნევის სასოფლო საბჭოებში შემავალი სოფლების დათვალიერებამ ნამდვილად დაგვარწმუნა, რომ გამრჯე მეურნის ხელში გლეხურ მეურნეობაზე გადასვლა მეტად საიმედო საქმეა. სანიმუშოდ მოვლილი ვენახები, დროულად დათესილი ფართობები, სადაც ბარაქიანად ირჯება თოხი, აშკარად მეტყველებს, რომ მიწას ნამდვილი პატრონი გამოუჩნდა.

— სხვანაირად აღარც შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, — გვესაუბრება ბორითის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, ყოფილი კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი თენგიზ წიქარიშვილი, — ვის რაში უნდოდა ის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სადაც სიმინდის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა 10-12, ყურძნისა 13-14 ცენტნერს არ აღემატებოდა.

დიახ, ეკონომიკა მართლაც ბუქსაობდა ხარაგაულის რაიონში, რისთვისაც 1986-1988 წლებში რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა დოტაციისა და ფასდანამატის სახით 6,5 მილიონი მანეთი მიიღეს, მოგებამ კი 3,5 მილიონი მანეთი შეადგინა. ე. ი. სახელმწიფოსაგან ბოძებული სამი მილიონი მანეთი ზარალის დაფარვას დასჭირდა.

— ახლა? აბა დაიარეთ უბისა, საქასრია ან კიდევ სხვა სოფლები და თუ ღმერთის წყალობაც იქნა, ნახავთ, რა ბარაქიანი იქნება ეს ჰექტრები, — აგრძელებს საუბარს თენგიზი.

შემდეგ ჩემი მოსვლის მიზანს ვაცნობ, ვეუბნები, რომ ქალებთან საუბარი მაინტერესებს, მათი თვალით დანახული დღევანდელი სოფელი, გლეხური მეურნეობის ავ-კარგი.

— ეგ იოლი საქმეა, — მეუბნება თენგიზი და იქვე გახსნილ გორის ბამბეულის კომბინატის ფილიალში მივყევარ, სადაც ყველა ქალი ფეიქარია და ყველა ფეიქარი გლეხური მეურნეობის წევრი.

მრავალთა შორის ფილიალის დირექტორმა მერაბ გიორგაძემ მერი კურტანიძე, ლალი წიქარიშვილი, ნინელი კურტანიძე და იზოლდა მიქიაშვილი ამოარჩია.

ლალი წიქარიშვილი: — ფაბრიკაში მქსოველად ვმუშაობ. ოთხი შვილი მყავს, სამი ბიჭი და ერთი გოგო.

— წიქარიშვილებს ამრავლებს — საუბარში ჩაება მერი კურტანიძე.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლალი წიქარიშვილი: — დიახ, ვამრავლებ და ვამაყობ ამით. მაგრამ აბა ცოტა წინ გაიხედე, საბაზრო ეკონომიკა მოდისო, რომ გაიძახიან, ყველაფერი გაიყიდებაო, რომ ამბობენ, რით შევინახო შვილები, იმ ათი მეასედით გლეხური მეურნეობისათვის რომ გამოგვიყვეს? ღვთის წყალობით ფაბრიკაში ცუდი ანაზღაურება არა გვაქვს, მაგრამ, თუ მამასისხლად გაიყიდა ყველაფერი, ფულს რა თავში ვიხლით. არა, ისევ მიწის იმედი უნდა ვიქონიოთ. მიწა და გლეხი იყო ქვეყნის ბურჯი და მარჩენალი და შემდეგშიაც ასე იქნება.

— საკარმიდამოც ხომ გაქვთ? — ვეკითხები.

— კი, მეოთხედი ჰექტარი, მაგრამ ხომ ვაქცევს რა ვუყო, როცა დაგვკაცდებიან, რა შევაჩვედრო, ხელ ჩაგაბარო?

ნინელი კურტანიძე, ქსელის გამწევანი: — მეც მყავს ოთხი შვილი. ეროვნულობაზე უკეთესები არიან, სოფელი და მიწა პატარაობიდანვე შევაყვარე. გავიხარეთ, როცა გავიგეთ გლეხურ მეურნეობაზე გადავდივართ, მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. საავადმყოფოს მშენებლობა წამოიწყეს იმ ნაკვეთში, მომავრებული რომ გვქონდა. სამაგიეროს კი არავინ იძლევა. დაგვრჩა 15 მეასედი სახნავი, რაც მეასედი ვენახი. ძროხა გვყავს თავისი ნაშიერით, ღორიც. მაგრამ, მაინც, მაშინებს ცხოვრება, ვნახოთ ასეთი გლეხური მეურნეობა საკეთეს თუ მოიტანს.

მიწის გაფართოვება უნდა, ალბათ, დედას — მოვლა-პატრონობა მისი სამომავლო ბედი ერთი ხელის მოსმით არ უნდა წყდებოდეს.

იზოლდა მიქიაშვილი, მეხაზეთი: — ეს უბრალო საკითხი არ არის, რაც ნინელმა წამოჭრა. გლეხურ მეურნეობაზე გადასვლით ეს პრობლემა უფრო მტკივნეულად გამოიკვეთა. დამეწყრილი სოფლებიდან ჩამოსახლებულებს საკარმიდამოდ ვენახის ფართობები გამოუყვეს. როგორც ვიცით, ასეთი 4-5 კომლი იყო, მაგრამ მთელი სოფელი ჩამოვიდა თვითნებურად. აიჩეხა ვენახები, წლობით ნაზარდი და ნალოლიავები. გლეხური მეურნეობებისათვის უმნიშვნელო ფართობები დარჩა, უნებართვოდ შენდება სახლები. რა ვქნათ, როცა კომლის გაყოფაზე მიდგება საქმე?

— სარეზერვოდ სახელმწიფო სახნავი ხომ დატოვა 7 ჰექტარი, — ვუპასუხე.

მერი კურტანიძე, დამლაგებელი: — ჩვენ არ ვიცით, რა რისთვის დატოვეს, ყურადღება რომ გვაკლია, ეს კი მართალია.

იზოლდა მიქიაშვილი. აბა, რის მაქნისია მომსახურების რგოლები, მივაკითხეთ, მიწის მოსახნავად გვინდოდა ტრაქტორი და დაზიანებულიაო, ასე მითხრეს. რა გვექნა, სხვაგან ვიქირავეთ და მოვხანით.

ლალი წიქარიშვილი: — მერე, ამით ხომ არ მთავრდება ყველაფერი. სათესლე მასალა გვინდა, სანაშლე აპარატები, შხამ-ქიმიკატები. ჩვენთან კი არაფერი იშოვება.

იზოლდა მიქიაშვილი: — მართალია, ბატონო, კარი ქუთაისიდან ჩამოვიტანე. მაშინაშინ — ხაშურიდან, დაიარეთ ჩვენი მაღაზიები და ნახეთ, რა დღეში ვართ. მიწას თუ არ მოუარე, მისი იმედი ნუ გაქვს. სასიმინდეს გაფხვიერებაზე ნუ იფიქრებ.

— იქნებ ისევ საკარი ეროვნულობები სჯობდა, ქალბატონო იზოლდა?

იზოლდა მიქიაშვილი: — თუ პატიოსნად და გამართულად იმუშავებენ ახლად შექმნილი მომსახურების რგოლები, ყველას უნდა აჯობოს გლეხურმა მეურნეობამ. აქ ჩვენ ვართ ჩვენი საქმის ბატონ-პატრონი. ანდა, სახარბიელო [illegible] გვიხდით საქმეს? მე [illegible] დედა ვარ, როგორც [illegible] საც ოთხი შვილი ჰყავს. ლალის — ოთხი.

შვილებს პატრონობა უნდათ. შვი[illegible] ლი რომ დაგვი[illegible] მას ვერ მია[illegible] დედის [illegible] დაგვ[illegible] ჩენია, თუ [illegible] გაფუჭებული თავი.

გადაწყვეტა [illegible] გლეხური მეურნეობა, კეთილი [illegible] და ის სახლში, რასაც [illegible] პატრონად [illegible].

აი, მაშინ [illegible] ჩვენს ხვრებზე და [illegible] არ იქნება ბარაქა, [illegible] თუ არ გვექნება [illegible] თუ არ მიწრიალებ[illegible] თმაჭირიერი და თვალებზე გოგო-ბიჭები.

[illegible]

დედებს [illegible] მისი ხვალინდელი [illegible]

ლელი მესხიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჭიროა თუ არა სექსზე საუბარი ბავშვებთან

ჩვენთან [illegible] წლის განმავლობაში აკრძალული იყო სექსის საკითხებზე საუბარი, წერა და, მით უფრო, სურათების დემონსტრირება.

საკითხის ასეთი მკაცრი, პურიტანული დაყენება ბოლო წლებში რადიკალური გზით შეიცვალა. გამოჩნდა ნაწარმოებები, კინოსურათები, სადაც ხაზგასმულია სქესობრივი და ეროტიკული ასპექტების მნიშვნელობა.

ლოლი სოფრომაძე და ტატია სამხიო მასობრივი ჟურნალ-გაზეთებისათვის სექსუალური შინაარსის სურათების შერჩევისას.

მაგალითისათვის მოვიტანთ გაზეთ „შანსის“ 1990 წ. 21 მარტის № 13 და 1990 წ. 29 იანვრის № 3 „ნეფელიაში“ მოთავსებულ სურათებს. „ნეფელიაში“ ილუსტრირებულ სურათის (ოთხი შიშველი ქალის შუა 7-8 წლის ბიჭუნას თვალებგაფართოებული, სასურად გაოგნებული სახე) ნახვისას ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ემოციური დაძაბულობის მდგომარეობაში შეიძლება ჩავარდეს სქესობრივ საკითხებში გაუთვითცნობიერებელი ბავშვი, მოზარდი და ბუნებრივია, რა უარყოფით ვითარებაში აღმოჩნდება მისი მშობელიც.

იბადება კითხვა, საჭიროა თუ არა სექსზე საუბარი ბავშვებთან? ვფიქრობთ, ბავშვს უნდა მიეცეს აუცილებელი ცოდნები სქესის შესახებ იმ ზომით, როგორი ინტერესიც აქვს მას ამ საკითხის მიმართ. მშობლების უარყოფითი რეაქცია სქესის საკითხზე ბავშვის კითხვებზე პასუხს ეძებს ქუჩის „განმანათლებლებისგან“, სადაც ხშირად იღებენ ძვირ, ცრუ და დამახინჯებულ ინფორმაციას. დადგენილია, რომ სქესის საკითხზე უფროსკლასელები ბოლო სექსის ინფორმაციის მშობლებისა და პედაგოგებისაგან მხოლოდ 20 პროცენტს იღებენ. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სქესობრივი განათლება ბავშვის დაბადებიდანვე მივაწოდოთ. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ სქესობრივი განათლება არ უნდა შემოიფარგლოს სქესობრივი სფეროს ანატომიური და ფიზიოლოგიური საკითხებით და არც მხოლოდ ჰიგიენური რეკომენდაციებით. განათლება, განსაკუთრებით სქესობრივი აღზრდა, ძირითადად მიმართული უნდა იყოს მოზარდის ზნეობრივი აღზრდისაკენ. სქესობრივი აღზრდის დაწყების ოპტიმალურ პერიოდად მკვლევართა უმრავლესობა თვლის 10 წლის ასაკს. რასაკვირველია, ეს ასაკობრივი მაჩვენებელი არ არის მტკიცე და მისაღებელია მისი ცვალებადობა სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით (ნაადრევი სქესობრივი მომწიფებისას — აქსელერაციის ნიშნები, სახასიათო თავისებურებები, ოჯახური გარემო, ურბანიზაციის პირობები და სხვა). ელემენტარული სქესობრივი განათლება კი, ბევრი სპეციალისტის აზრით, საჭიროა დაიწყოს 2.5-3 წლის ასაკიდან, როცა ბავშვი უკვე გაარკვევს სქესობრივი კუთვნილების განსხვავების საკითხში, [illegible] ბიჭუნობა, თამაშის სახე, გოგონებისა და ბიჭების ერთმანეთთან დამოკიდებულების თავისებურებები.

რაც შეეხება საკითხს, თუ როგორი ზემოქმედების ახდენს მოზარდებზე სქესობრივი შინაარსის, განსაკუთრებით პორნოგრაფიული სურათების და ფილმების ჩვენება, უნდა მოვახსენოთ შემდეგი: ასაკისთვის შეუფერებელი სქესობრივი სურათების (რომლიც ხშირად ჩართულია პორნოგრაფიული ელემენტები) ჩვენება და მით უმეტეს [illegible] ბავშვებს ადრეულად უღვიძებს ინტერესს სქესობრივი საკითხების მიმართ და ზოგჯერ ასეთი ინფორმაციის მიღებიდან გადადიან მის პრაქტიკულ განხორციელებაზე, ახდენენ სასქესო ორგანოების დემონსტრირებას, ცდილობენ თავისი შესაძლებლობებით მოიპოვონ ეროტიკული ზემოქმედება თანატოლებზე, ხანდახან ბავშვები კიდეც სქესობრივი კონტაქტის სცენას. მოზარდებში კი განსაკუთრებით მძაფრდება სქესობრივი ლტოლვის ტონუსი, რაც მისი რეალიზაციის შეუძლებლობის და მეორე მხრივ, ეროტიკული ფანტაზიების შეუზღუდაობის პირობები, ხელს უწყობს მოზარდის უარყოფის ფსიქო-ემოციური, ვეგეტატიური და ფიზიკური დაძაბულობის. ასეთი მდგომარეობის გამეორებამ და ხშირმა სქესობრივმა სტიმულირებამ შეიძლება განაპირობოს მთელი რიგი გართულებანი ქცევის მოშლის სახით (სქესობრივი ძალადობა, სქესობრივი გაუკუღმართებანი, ონანიზმი, ნერვული აღზნებადობა, აფექტურობა, აგრესიული ქცევა), ისე სხვადასხვა სახის ნევროზული (უფრო სომატოფსიქიკური) აშლილობანი. არ არის გამორიცხული სექსუალური სიძნელეები ასეთ მოზარდთა შემდგომ ცხოვრებაშიც.

არ იფიქროთ, რომ მე წინააღმდეგი ვარ ადამიანის სხეულის ფიზიკური სილამაზისა და სიმშვენიერის გამომხატველი სურათების ჩვენებისა, არც იმას ვფიქრობ, რომ მოზარდებმა არ ისაუბრონ სექსუალურ საკითხებზე. თავისთავად ეს არ არის საშიში, ვინაიდან ყოველივე ეს წარმოადგენს მოზარდის სუბკულტურის აუცილებელ ელემენტებს (რასაკვირველია, გარკვეულ საზღვრებში). შეუძლებელია და არც არის საჭირო მოზარდს ავუკრძალოთ სქესისა და სექსუალობის საკითხების გაცნობიერება. მოზარდები უნდა დავიცვათ სქესის შესახებ უცოდინარი, არასისტემატიური, უსირცხვილო და დამახინჯებული ინფორმაციის მიღებისაგან.

სქესობრივი აღზრდა და სქესობრივი კულტურის დანერგვა ახალგაზრდებში, ბევრი სხვა სიკეთესთან ერთად, შეამცირებს 14-15 წლის ასაკიდან სქესობრივი ურთიერთობის დაწყებას (განსაკუთრებით მაღალ ურბანიზებულ რაიონებში), აბორტებს (რაც უარყოფითად მოქმედებს თვით ახალგაზრდა ქალზე და მის შთამომავლობაზეც), გონებრივად და ფიზიკურად დეფექტურ ბავშვთა დაბადებას, საბავშვო სახლებში არასასურველ და მშობლებისაგან მიტოვებულ ბავშვთა რიცხვს, მთელ რიგ ფსიქონერვულ აშლილობებს და სხვა.

ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ სქესობრივი ლტოლვისადმი დამორჩილება ბევრ შემთხვევაში მთავრდება ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური კატასტროფით: ვენერიული და არავენერიული დაავადებით, ჰომოსექსუალიზმით, პროსტიტუციით და რაც განსაკუთრებით საშიშია დღეს, საუკუნის ყველაზე მძიმე და ჯერჯერობით უკურნებელი დაავადებით — შიდსით.

დასასრულს უნდა მოვახსენოთ, რომ ვერ დავეთანხმები იმათ, ვინც თვლის, რომ თემატიკის სპეციფიკურობის გამო სქესობრივი აღზრდა ეწინააღმდეგება ზნეობრივი აღზრდის პრინციპებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სქესობრივი აღზრდა შეიცავს არა მარტო ფიზიოლოგიურ და ჰიგიენურ ასპექტს, არამედ პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ, ეთიკურ, ესთეტიკურ და სოციალურ ასპექტებსაც. სქესობრივი აღზრდის მიზანია ჯანმრთელი და მთლიანი პიროვნების ჩამოყალიბება.

ვინაიდან სკოლებში არ გაამართლა ე. წ. „უსქესო პედაგოგიკის“ პრინციპმა, სკოლების პროგრამაში შეტანილი „საოჯახო ცხოვრების ეთიკისა და ფსიქოლოგიის“ კურსის კითხვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასქესო ჰიგიენის საფუძვლების შესწავლას ანუ სქესობრივი აღზრდისა და სქესობრივი კულტურის საკითხებს.

**მირიან მეხტიაშვილი,**
რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა მთავარი ფსიქიატრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

# ორი ჩანახატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სინანული

ნაღვლიანი თვალებით იყურება სოფელ ატენის ციხის გარეშემონი. საუკუნეთა სიმრავლეს დაუმძიმებია ნრომის ციხის კედლები. დღევანდლამდე მოაღწია შუა საუკუნეებში ნაგებმა ციხემ, რომელსაც მრავალჯერ გადაურჩენია ამ სოფლის მკვიდრთა სიცოცხლე. სურვილი გიჩნდება, თაყვანი სცე მის გამძლეობას, ეამბორო წინაპართა ნაფეხურებს...

მონიწებით დავაბიჯებთ მზრუნველი ხელით ნასათუთევ ეზოში დავეძებთ მის მომვლელს. სანამ აქ მოვიდოდით, გვითხრეს, „ერთი მოხუცი ქალი პატრონობდა იქაურობას, იქნებ ცოცხალი აღარც იყოსო; მაგრამ.... ვიპოვეთ — უზარმაზარ თივის ზვინზე მიწოლილიყო ბერი ქალი — ციხის უხუცესი მცველი და მზეზე თბებოდა. ჩვენ რომ დაგვინახა, ცისფერ თვალებში სიხარული აუკიაფდა და ღიმილით შემოგვეგება. ათასი რამ მოიგონა უკვე საუკუნეს მიტანებულმა ცოცხალმა მატიანემ, გვიამბო ლეგენდა ნრომის ციხეზე, გაიხსენა ანდაზები, შელოცვები:

„ალისასა, მალისასა,
შეგილოცავ თვალისასა“...

ამ საუბრისას ეზოში ბავშვებმა შემოირბინეს. მათმა ჟრიამულმა დაფარა მოხუცის ლაპარაკი. დამაცადეთ, ონავრებო!“ — დაუტატანა მოხუცმა ბავშვებს ჩვენ კი მოგვიბოდიშა, შვილიშვილები არიანო ჩემი. — „ალბათ ძალიან ბედნიერი ხართ!“ — შევნატრეთ მის ტკბილ სიბერეს. უეცრად თვალები სევდამ დაუნისლა, ცისფერი ეშმაკუნები სადღაც გაუქრა და ნაღვლიანად მოგვიგო:

— ე-ეხ! ბედნიერი მაშინ ვიქნებოდი, ე ვინც მიყვარდა, იმას გავყოლოდი.

ცრემლები მოგვადგა თვალზე მისი დიდი სინანულის გამო. გაოცებული შევცქეროდით ოთხმოცდათხუთმეტი წლის ქალს, რომელსაც პირველი სიყვარულის იარა მოუშუშებელი დარჩენოდა.

## მე რომ დედამ მიმატოვა...

„საყვარელმა“ დედამ უგულოდ შეატოვა პატარა ანგელოზი ბებიას და წავიდა.

მიაბიჯებდა ამაყად და ვერ გრძნობდა, რომ ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელი არ არსებობს. ვერავითარ სითბოს ვერ გრძნობდა შვილის მიმართ. ხომ მთელ სიცოცხლედ ღირს, როდესაც შენი პაწია სიხარულით სავსე, ლამაზ თვალებს მოგაპყრობს, შენსკენ გამოქანდება და ბავშვური მიამიტობით გთხოვს:

— დედიკო, მაკოცე, რა?!

შენ კი ამ დროს ზურგს შეაქცევ, კოცნის ნაცვლად სულში მწარე სილას გააწნავ და წახვალ... ასე მოექცა პატარა ნინოს დედა... მართა ბებო კი პატარასათვის არაფერს იშურებდა, ზედ იყო გადაყოლილი, თვითონ იქლებდა და მას აცმევდა, ოღონდ უდედობა არ ეგრძნო. ხოლო, როდესაც ნინო მოულოდნელად დაუსვამდა კითხვას, — ბებიკო, რატომ არ მოდის ჩემი დედიკოო, მართა ბებო თვალს აარიდებდა, ჩუმად ტიროდა და რძალს წყევლას უთვლიდა.

დრო სწრაფად გადიოდა. პატარა ნინო შეეჩვია, რომ დედა მისგან შორს, ძალიან შორს იყო, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც უკრთოდა იმედის პატარა სხივი დედის დაბრუნებისა.

დადგა დრო, როდესაც ნინო სკოლაში უნდა წასულიყო. ბებომ მოამზადა იგი და მის პირველ მასწავლებელს ჩააბარა, რომელმაც ბავშვებს სკოლის კარის პირველად შეღება მიულოცა და მეგობრული საუბარი გაუბა. ყველაფერზე ესაუბრა: დედასამშობლოზე, დედაენაზე, დედამიწაზე და ბოლოს დასძინა: — დედა რომ არ იყოს, რაოდენ ძნელი იქნებოდა პლანეტაზე ბავშვების ცხოვრება, უდედოდ სიცოცხლე წარმოუდგენელია, ამიტომ გავუფრთხილდეთ, პატარებო, დედასო.

მასწავლებელმა დაინახა, ერთმა გოგონამ როგორ მოურიდებლად ასწია ხელი და დიდრონი თვალები ნაღვლიანად მიაპყრო მას.

— რამე ხომ არ გინდოდა, ნინო! თბილად ჰკითხა მასწავლებელმა.

ნინო წამოდგა და ცრემლიანი ხმით ჩაიჩურჩულა:

— მე რომ დედამ მიმატოვა...

მასწავლებელს ელდა ეცა, ბავშვის ცრემლიან მზერას ვერ გაუძლო, ნერვიულად რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა და ფანჯარასთან შეჩერდა. შემდეგ ნინოს მიუახლოვდა, თავზე მზრუნველად ხელი გადაუსვა ხელი და ლოყაზე ნაზად აკოცა.

დედის კოცნასავით თბილი იყო ეს კოცნა.

მაია ადეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გამოცანა ანუ ვინ ვარ მე?

— შეწუხებისათვის დიდ ბოდიშს გიხდით, თქვენ კორესპონდენტი ბრძანდებით?

— რაშია საქმე, ქალბატონო?

— თუ ღმერთი გწამთ, მომისმინეთ.

ოდნავ ჩამრგვალებული და განსაცვიფრებლად სიმპათიური ქალი ზღვისფერი თვალებით მომაჩერდა.

— თუ ასეა, სწორედ თქვენი მეშვეობით ჟურნალ „ქალთა სამყაროს" რედაქციას შეკითხვა მინდა გავუგზავნო, იქედან ყოველთვის იძლევიან განმარტებას საჭირბოროტო საკითხებზე.

— გისმენთ, ქალბატონო.

— ამიხსენით თუ შეიძლება, რა რჯულის... უკაცრავად, რომელი სახეობის ცხოველთა ოჯახს მივეკუთვნები პირადად მე?

ამ სიტყვებზე თვალები კინაღამ ორბიტიდან გადმომიცვივდა. გაოცებისაგან პირი ფართოდ დავაღე. ერთბაშად გავშტერდი. მანდილოსანმა ერთ-ორჯერ ღრმად ამოიხვნეშა და ყოველგვარი იუმორის გარეშე, სევდანარევი ხმით განაგრძო, — ეს მკრეხელური კითხვა აგერ რამდენი წელიწადია მაჯლაჯუნასავით მაწევს გულზე და ვერანაირად მისთვის ახსნა ვერ მიპოვია.

— ღმერთო დიდებულო! — წამოვიძახე მე გულწრფელი თანაგრძნობით, — თქვენ პრიმატთა უმაღლესი კლასის წარმომადგენელი, ბუნების მეფე, მისი გვირგვინი — ადამიანი ბრძანდებით.

— წარმოგიდგენიათ? — გათხოვებამდე მეც ასე ვფიქრობდი.

— მერე, მერე რაღა მოხდა?

— ყველაფერი თავდაყირა გადატრიალდა.

— ვერაფერი გამიგია. მაპატიეთ, ქალბატონო, თქვენი არ მესმის.

— ახლავე ყველაფერს აგიხსნით, — აგრესიული ტონით მომიგო უცნობმა, — დილით, როცა სამინისტროში მაგვიანდება, ავტობუსის სახელურს გარეულ კატასავით ვებღაუჭები, გაჭედილ სალონში ინგლისურ ბულდოგის დარად ვყეფ, რისთვისო, იკითხავთ — ხან ბებერაზე ფეხს დამადგამენ, დასაჯდომ ადგილს საერთოდ აღარავინ მთავაზობს, ხშირად კონდუქტორი ხურდას არ მიბრუნებს, ვიღაცა ჩანთაში ხელს მიფათურებს, თამბაქოს ცხვირში მაბოლებენ და აყეფდები, აბა რა მოგივა! კანტორაში ნიკორა ხარივით ქედდაუდრეკლად ვმუშაობ. ზოგჯერ დავალებას წარმატებით გავართმევ თავს, რისთვისაც უფროსი მოწყალე ღიმილით დამაჯილდოვებს და მხარზე ხელისგულს მომითათუნებს, მაშინ მერცხალივით ავჟღურტულდები ხოლმე. დღის ბოლოს ფეხმალი ცხენის სისწრაფით ბაზარში გავრბივარ და ხორაგეულით სავსე აბგებით დასაპალნებული სახედარივით სახლში ვბრუნდები. ქმარი ტელევიზორის პირდაპირ სავარძელშია გაშოტილი და ცალყბად მეკითხება: ფისუნია, დღეს სადილად რა გვაქვს? სადილი კი მზად არ არის, ვინაიდან ეს-ესაა ოჯახში ფეხი შემოვდგი.

— ოხ, რა ზოზინა ზაქი ხარ! — ბრდღვინავს ჩემი თანამეცხედრე. ხოლო როცა ქანცგამოლეული დასაძინებლად ვწვები, მეუღლეს ვნების ჟინი მოერევა, უხეშად მეუბნება: — ოჰ, შე ბეჰემოტო!

— ბოლოს და ბოლოს, ღვთის გულისათვის, ამიხსენით, რომელი ჯიშის ცხოველს ვეკუთვნი მე?

გორის მათითაშვილი

# მოუმზადეთ პატარებს

კარგად გარეცხილი, ოთხად გაჭრილი ხორცი ხარშეთ 50-60 წუთი, შუა დუღილში ჩაუმატეთ (წვრილად დაჭრილი) მოშუშული ხახვი და სტაფილო. ცალკე (300 გრამ წყალში) მოხარშეთ ბრინჯი, ისე რომ არ ჩაფლავდეს და გაწურეთ, ბულიონიდან ამოიღეთ ხორცი, გაწურეთ წვენი, მდუღარე წვენშივე ჩაუშვით გაწურული ბრინჯი და წამოადუღეთ 1-2 წუთი: კარგად გარეცხილ მწვანილს გადაავლეთ ადუღებული წყალი, წვრილად დაჭერით და თეფშზე დასხმულ ბულიონს მოაყარეთ.

მასალა: 100 გრამი ძროხის ხორცი, 15 გრამი ბრინჯი. 10-15 გრამი სტაფილო, 5-10 გრამი ხახვი, 500 გრამი წყალი, თითო ღერი კამა და ოხრახუში, 5 გრამი მარილი.

## კატლეტი ხორცითა და კარტოფილით

მოხარშული, გაფცქვნილი კარტოფილი და მოხარშული (ბულიონიდან ამოღებული) ხორცი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. შეაზავეთ მოშუშული ხახვით, უმი კვერცხით, მარილით, აურიეთ კარგად და კვლავ გაატარეთ იმავე მანქანაში. მიღებული მასა გაყავით რამდენიმე ტოლ ნაწილად, მიეცით კატლეტის ფორმა, ამოავლეთ ორცხობილას ფხვნილში და შეწვით ცხიმიან ტაფაზე. შეწვის შემდეგ ტაფას დაახურეთ თავსახური. 5 წუთით დატოვეთ დაბალ ცეცხლზე, გარნირად შეგიძლიათ იხმაროთ არაჟანი ან ბავშვისათვის მომზადებული პამიდორის ნაზი საწებელა.

მასალა: 100 გრამი ძროხის ხორცი, 200 გრამი კარტოფილი, 25 გრამი ხახვი, 1 კვერცხის გული, 15 გრამი კარაქი, 5 გრამი მარილი, 10-15 გრამი ორცხობილას ფხვნილი.

## ნვნიანი ყვავილოვანი კომბოსტო

მდუღარე მარილიან წყალში მოათავსეთ გარეცხილი, დაჭრილი ან პატარა ყვავილედებად დანაწევრებული კომბოსტო და ხარშეთ (15 წუთი) შერბილებამდე. მოხარშული კომბოსტო მოათავსეთ საწურავზე, ხოლო იმავე ნახარშ წყალში ჩაყარეთ 1 ჩაის კოვზი მანანის ბურღული და ხარშეთ 15 წუთის განმავლობაში. შემდეგ ქვაბში ჩააწყეთ კომბოსტო, დაასხით ცხელი რძე, მარილი უყავით და კვლავ 2-3 წუთს წამოადუღეთ, თეფშზე გადმოღების შემდეგ წვენში ჩაუმატეთ კარაქი და ორცხობილას პაწაწინა ნატეხები.

მასალა: 100 გრამი ყვავილოვანი კომბოსტო, 1 ჩაის კოვზი (8 გრამი) მანანის ბურღული, 250 გრამი წყალი, 200 გრამი რძე, 100 გრამი კარაქი, 5 გრამი მარილი.

## ბრინჯი ვაშლით

მოხარშეთ ბრინჯი (ოდნავ მარილწყალში), მოათავსეთ საწურზე და გაწურეთ; სქელძირიან ტაფას ან დაბალ ქვაბს წაუსვით ცხიმი, მოაყარეთ ორცხობილას ფხვნილი, მოათავსეთ ზედ თანაბარ ფენად ბრინჯი, ზემოდან გადაუსვით ვაშლის პიურე, დააწყეთ ზედ კარაქის პაწაწინა ნაჭრები, შედგით საშუალო სიმხურვალის ღუმელში და დატოვეთ 10-15 წუთით.

მასალა: 50 გრ ბრინჯი, 25 გრ კარაქი, 100-150 გრ პიურე.

## ლამაზად რომ გამოიყურებოდეთ

# საზაფხულო კოსმეტიკა

რა ბარაქიანი ძღვენით გვესტუმრება ხოლმე ზაფხული! ყვავილები, ხილი და ხილ-კენკრა, ბოსტნეული... ახლა ჩვენ გესაუბრებით ზაფხულის კოსმეტიკაზე, რომელიც, დეკორატიულისაგან განსხვავებით, მარტო რამდენიმე საათი კი არ გაგვალამაზებს, არამედ დაგვეხმარება დიდხანს შევინარჩუნოთ ახალგაზრდული, სუფთა სახის კანი — ბუნებისგან ნაბოძები ძვირფასი საჩუქარი. ხილ-კენკრისა და ხილის ნილბები, ნაირ-ნაირი ბალახების ნახარში და ნაყენი, კანს ამკვრივებს და ახალგაზრდავებს.

გაზაფხულზე და ზაფხულში ქალს საქმე ემატება, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებს. გაზაფხულის მზეც მეტად ეკიდება კანს. ამას დაუმატეთ ქარი, მტვერი... ჰოდა, აგერ, ჭორფლმაც თავი შეგვახსენა. მის გასაუფერულებლად სახეზე 3-5 წუთით დაიფარეთ ლიმონის წვენში ან წყალბადის ზეჟანგის 3 პროცენტიან ხსნარში დასველებული დაკეცილი დოლბანდი.

### ნიღბები, ნახარში, ნაყენი

თუ არყის ხის კვირტების ან ნორჩი ფოთლების ნახარშს და ნაყენს რამდენიმეჯერ დალევთ, ეს დაგიცხრობთ ოდნავ შეშუპებულ სახეს.

— არყის ხის კვირტების ნაყენით დღეში 2-3-ჯერ გაიწმინდეთ ცხიმიანი კანი (1 სუფრის კოვზი კვირტები, 5 ჩაის კოვზი წყალი, 2 სუფრის კოვზი გაწურული არყის ხის ფოთლების ნახარში).

არყის ფოთლების ნახარში დაბანვის შემდეგ სასურველია გადაივლოთ თმაზე.

კრემი „ბერიოზოვი“ ჩინებული საშუალებაა ჭორფლის მოსაცილებლად.

ძველთაგან ცნობილია, თუ როგორ აქათქათებს სახის კანს კიტრის წვენი, ხოლო მცენარეული და ცხოველური ცხიმები, მაწონი, კეფირი და არაჟანი სიმკვრივეს და მოქნილობას უბრუნებს სახის, ხელებისა და ყელის კანს.

— სუფრის კოვზი ციტრის წვენისა და 1 ჩაის კოვზი ბორაკის ნარევით დაასველეთ დაკეცილი დოლბანდი, შემდეგ კი ჩამოიბანეთ გრილი წყლით.

— ლოსიონი ცხიმიან კანს უხდება, — „ციტრის რძე“ კი მშრალ კანს.

მათეთრებელი კრემებია: „ვესენნი“, „ახრომინი“, „ჩისტოტელი“, „მოლოჩაი“, „მეტამორფოზა“. ესენი საღამოს უნდა წაისვათ, დაძინების წინ კი ქაღალდის ხელსაწმენდით მოიშოროთ.

თუ სახე და ხელები ქარმა დაგიშაშრათ, მოამზადეთ ვირისტერფას ნორჩი ფოთლების ნიღაბი:

ფოთლები გულდაგულ გარეცხეთ, დანაყეთ, დაასხით რძე (2 სუფრის კოვზ დანაყილ ფოთლებს 1 ჭიქა რძე). ეს ფაფა 15-20 წუთით უნდა გედოთ სახეზეც და ხელებზეც.

პიტნის ნაყენი მშვენიერი საშუალებაა მზისაგან გაღიზიანებული მშრალი და ნაზი პირის კანის გასაწმენდად:

— 1 სუფრის კოვზ პიტნის ფოთლებს დაასხით ცოტა მდუღარე წყალი და ნახევარი საათი გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში, გაწურეთ, ნაყენი ჩაასხით პატარა სირჩაში ან სხვა ჭურჭელში და საყინულეში შედგით. ასე მიღებული ყინულით დილა-საღამოს სახის გაწმენდა დიდად რგებს კანს.

ასეთივე ნაყენი (და ამგვარადვე გაყინული) შეიძლება მომზადდეს გვირილის, მრავალძარღვის ფოთლებისა და ვარდის ფურცლებისგან.

მშრალ, ფერისმჭამლებიან კანს კალენდულის მალამო უხდება.

მშრალ კანზე ეფექტიანად მოქმედებს კრემები: „ალოე“, „ნექტარი“, „ლუქსი“, „ვოსტორგი“, „ალიონუშკა“.

ცხიმიანი კანის მოვლა გაცილებით მეტ ყურადღებას მოითხოვს. ზაფხულობით ასეთმა კანმა წითელი გამონაყარი და ფერისმჭამლები იცის, ამიტომ პირი დღეში ორჯერ მაინც უნდა დაიბანოთ გრილი წყლით. დაძინების წინ კი სახე გაიწმინდეთ შვიტას ნახარშით, რომელიც კანს აშრობს:

1 სუფრის კოვზ შვიტას დაასხით 1 ჭიქა ცივი წყალი და ადუღეთ ნელ ცეცხლზე 20 წუთს. გაწურეთ და ნახარში მზად არის.

ალოეს წვენს ბადალი არ მოეპოვება ცხიმიანი კანის მოსავლელად. ის აქტიური სტიმულატორია, აჩქარებს კანის უჯრედების აღდგენას, აფერხებს მის ჭკნობას, ამშვიდებს გაღიზიანებულ კანს. თუ მას ევკალიპტის ნახარშს შეურევთ, მზის დამწვრობის დასაამებელ მშვენიერ საშუალებას მივიღებთ.

ეფექტიანად მოქმედებს ცხიმოვან სებორეაზე, ქერტლსა და თმის ცვენაზე კალენდულა.

1 სუფრის კოვზ კალენდულის სპირტიან ნაყენს დაუმატეთ ნახევარი ჩაის ჭიქა წყალი, ამ ნარევში დაასველეთ დაკეცილი დოლბანდი და 15-20 წუთით დაიდეთ სახეზე. კანის გაფართოებული ფორები შესამჩნევად შევიწროვდება.

ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო მცენარეა ჭინჭარი. ის შეიცავს მინერალურ მარილებს, ასკორბინის მჟავას, ვიტამინებს, რკინის, კალციუმის, ნატრიუმის მარილებს...

ჭინჭრის ლოსიონი კოსმეტიკაში გამოიყენება კანის ტონუსის გასაძლიერებლად, ხოლო მისი ნაყენი — თმის ზრდის დასაჩქარებლად და მისი ცვენის შესაჩერებლად.

გვირილის ნაყენი აამებს დაღლილ, გაწითლებულ ქუთუთოებს, ამკვრივებს მოდუნებულ კანს.

მუხის ქერქის კოსმეტიკაში გამოყენება მისი ანტისეპტიკური და ანთების საწინააღმდეგო თვისებებმა განაპირობა. ამ ქერქის ნახარში ზაფხულობით მშვენიერი საშუალებაა ხელ-ფეხის ოფლიანობის წინააღმდეგ.

ცხიმიანი სებორეის დროს სახის კანზე კარგად მოქმედებს ასეთი ნარევი:

— 1 გათლილი ჩაის ჭიქა მუხის ქერქის ნახარშს დაუმატეთ 2 გრ შაბი და 5 გრ გლიცერინი. ამ ნარევში დასველებული ბამბის ტამპონით დღეში 2-3-ჯერ გაიწმინდეთ სახე. გაწმენდის შემდეგ კანს გაშრობა დააცალეთ.

ლოსიონი „დუბოკი“ ააქტიურებს ცხიმოვანი ჯირკვლების მოქმედებას, ამცირებს ოფლიანობას.

ბუნებისგან ბოძებულ მცენარეულ ბალზამებს მრავალმხრივი კომპლექსური მოქმედება აქვთ, რადგან შეიცავენ ვიტამინებს, ბიოგენურ სტიმულატორებს, ფიტონციდებს და ზრდის ჰორმონებს. ეს ყველაფერი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ხელს უშლის კანის ნაადრევ ჭკნობას.

კოსმეტიკას ბევრი შეუძლია, მაგრამ გაცილებით მეტი შეუძლია თვითონ ქალს, თუ გულით სურს, რომ ახალგაზრდა და მომხიბლავი იყოს. განა არ შეგიმჩნევიათ, რა დიდხანს ინარჩუნებენ ახალგაზრდობას, მხნეობას და სილამაზეს გულკეთილი, ხალისიანი და სიცოცხლის მოყვარული ადამიანები?

ნუ დაივიწყებთ ამას!

„რაბოტნიცადან“

# რჩევები

სადილის მომზადებისას, ან მისი მომზადების შემდეგ აუცილებელია გაზქურის მინანქარზე (ემალზე) შემხმარი წვეთები და ლაქები მაშინვე მოაცილოთ. თუ კილტა (ფოლგა) გაქვთ, მოხერხებულად დააფარეთ მინანქრის ზედაპირს, რათა დაიცვათ იგი გაჭუჭყიანებისაგან.

გაზქურის ზედაპირი კარგად იწმინდება ყველანაირი ჭურჭლის გასარეცხ თხევად სითხეში დასველებული ჩვრით ან ღრუბლით. შეიძლება გასაწმენდად გამოვიყენოთ აგრეთვე საჭმელი სოდა. გაზქურის ხმარების სიხშირეზეა დამოკიდებული მისი ძირფესვიანი გაწმენდა ერთ-ორ თვეში ერთხელ მაინც საჭიროა გარეცხოთ ქურის ყველა დეტალი. ის ნაწილები, რომლებიც შეიძლება მოიხსნას, ცალკე გაწმინდეთ.

მინანქარს ზუმფარიანი ქაღალდით ნუ გაწმენდთ, რადგანაც ის შეიძლება დაზიანდეს.

როცა გაზქურას აანთებთ, ალი ნათლად გამოკვეთილი უნდა იყოს — მომწვანო ლურჯი-იისფერი, თუ ალი შავად ბოლავს, ან მოწითალო ელფერი აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ დეტალი კარგად არ არის გაწმენდილი, ანდა არასწორად არის დაყენებული და გაასწორეთ.

კერძის მომზადებისას უმჯობესია ქვაბი დადგათ სპეციალურ ბადეძირზე,რომელიც ალს თანაბრად გაანაწილებს.

ელექტროქურის გაწმენდისას აუცილებლად გამორთეთ იგი ელექტრო ქსელიდან და დაიცადეთ სანამ მთლიანად გაცივდება. ამ შემთხვევაშიც იგივე წესით ვიმოქმედებთ, როგორც გაზქურის გაწმენდისას. თუ მინანქარი ხილის წვენით ან მურაბით არის დასვრილი, საჭიროა მალე დაასუფთაოთ, რადგანაც სიმჟავე მასზე უარყოფითად მოქმედებს.

დაჟანგვის თავიდან ასაცილებლად ლითონის ნაწარმებს წაუსვით საკერავი მანქანის ზეთი, შემდეგ ოდნავ გაათბეთ და გაზეთის ქაღალდით გაწმინდეთ. ელექტროღუმელის მინა გაწმინდეთ სპირტის ან ნიშადურის სპირტის წყალნარევი ხსნარით. ხელები რომ არ გაგიჭუჭყიანდეთ და გაგიუხეშდეთ, ორივე ქურის გაწმენდისას ჩაიცვით რეზინის ხელთათმანები.

თ. კახელიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მღებავობა მესხეთში



Სამცხე-ჯავახეთში ოდითგან განთქმული იყო მესხური ფიჩვები, ფარდაგები, ხურჯინები, ლოგინის ნაბდები. ტანსაცმელსაც შინნაქსოვი შალისაგან ამზადებდნენ. ყოველივე ამას შნოსა და ლაზათს მატებდა ღებვის ის ხელოვნება, რომელსაც ესოდენ კარგად ფლობდნენ.

თუ როგორ უნდა შეეღებათ შალეულობა, რომ გაუხუნარი და გამძლე ყოფილიყო, ამისი ცოდნა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. რასაც მღებავის საკუთარი გამოცდილებაც ემატებოდა. ღებვას ძირითადად ქალები აწარმოებდნენ.

ღებვისა და შემდგომ მისი გაშრობისათვის ცხელი მზიანი დღე იყო საჭირო. ღებვას წინ უძღოდა შალის გარეცხვა, ამის გარდა, შალი უნდა ყოფილიყო აუცილებლად გაზაფხულის მატყლისგან დამზადებული.

საღებავებად ხმარობდნენ ბალახებსა და ქვის ხავსს — მღიერებს, ენდროს. შავი ფერის საღებავად ხმარობდნენ შავბალახას, იგივე ფოთოთს, კანაფა ბალახს. წითელი ფერის შესაღებად იყენებდნენ ენდროს ფესვებს, ლურჯად ღებვისას — ინდიგოს, ყვითლად შესაღებად — ხახვის ფურცელს, თალხი ფერისთვის — ჭვარტლს.

მესხური ფიჩვ-ფარდაგები და ხურჯინები ჭრელფერადოვნებით გამოირჩეოდა. განთქმული იყო შვიდფერიანი ყაილიანი წინდები და თორმეტფერი ფიჩვები. ფერთა შეხამება გარკვეულ ცოდნასა და გემოვნებას მოითხოვდა. კარგი მქსოველი წითელს ვარდისფერთან ლამაზ შეხამებად არ მიიჩნევდა. ლურჯი და ყავისფერი ერთმანეთის გვერდით მუქი გამოდისო. არ მოსწონდა ერთმანეთის გასაწყობად წითელი და თეთრი, ნარინჯი და ყვითელი, ყვითელი და მწვანე. მიუტევებელ ცოდვად ითვლებოდა თეთრისა და ყვითელის ერთმანეთთან მისადაგება, ყვითელი თეთრთან თვალებს ჭიმავსო — ასე ამბობდნენ. ფერთა ტონებს ასეთი გამოთქმებით არჩევდნენ — ყვითელი, ჩალისფერი, კვერცხის გულისფერი, ლურჯი, სოსნისფერი, ჰაერისფერი, შოშიკვერცხის ფერი, ყავისფერი, ბურნუთისფერი. ტონთა ხარისხსაც საგანგებო ტერმინებით გამოხატავდნენ. — ალი, მუქი, ქუფრი. ღია ყვითელი ანუ ალი ყვითელი, ღია მწვანე — ალი მწვანე, ქუფრი წითელი, — ალი წითელი — ჭიაფერი და ა. შ.

ბუნებრივი შავი მატყლისა და თეთრი მატყლისგან მიღებულ ნარევს „ლეგო“ ეწოდებოდა, აგრეთვე „გოგიში“, „ყორვალი“, „გომიში“.

სამწუხაროა, რომ მესხეთში ღებვის მდიდარი ტრადიციები დავიწყებას ეძლევა. იგი მხოლოდ ღრმად მოხუცებულებს ახსოვთ, არადა, ხალხური წესით შეღებილი ფიჩვ-ფარდაგები ახლაც ხასხასა ფერებით გამოირჩევა. რომელი ქიმიური საღებავით შეღებილი შეედრება მათ!

## მღებავების გაშაირება სამცხე-ჯავახეთში

ქალო, ვღებო, თუ რა ვღებო,
დართული რომ არა მაქო,
ცხვარ-ბატკანი შერევია,
მაკრატელი არა მაქო.
კვირისტავი დამიგდია,
საჩეჩელი არა მაქო,
ენდრო დერეფანს დავყარე,
შავი ქვაბი არა მაქო,
ქალო, ვღებო, თუ რა ვღებო,
ბუხარიც რომ არა მაქო,
ჭვარტლით თვალი გიპრეხია,
გასარეცხი არა მაქო.
ისევა სჯობს, მზე და ჩალა,
ისევ ჩემი გული მაქო.

ნოდარ ივანიძე

ხოფ. აწყვიტა

რედაქციის მისამართი — მ. კოსტავას ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93-98-54 მასალები გადაეცა ასაწყობად 6. 06. 90 წ., ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 07. 90 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8 ტირაჟი 177 000. შეკვ. 1307. უე 00948 Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8 ფასი 30 კაპ.

# მსოფლიო ვარსკვლავი



სურათზე: მადონა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მსახიობის პოპულარობას ხშირად აფასებენ იმის მიხედვით, თუ როგორ უბრალო რეკლამას უკეთებენ მის გასტროლებს. თუ მივუდგებით ამ საზომით, მაშინ ამერიკელი როკ-მომღერალი მადონა ამჟამად დიდების ზენიტში იმყოფება. ვერ ნახავთ მისი გამოსვლებისადმი მიძღვნილ ვერც ერთ თვალშისაცემ აფიშას, ანონსს. შეიძლება გაზეთში გაიელვოს ლაკონურმა ცნობამ მადონას მორიგ საგასტროლო მოგზაურობის შესახებ.

მადონას დასჭირდა მხოლოდ სამი დიდი დისკის გამოშვება და ორ ფილმში გადაღება, რომ გამხდარიყო მსოფლიოს სახელის ვარსკვლავი. მაგრამ მისი გზა დიდებისაკენ არც ისე ადვილი გასავლელი იყო.

ბავშვობისას მადონა ლუიზა ვერონიკა ჩიკონე ოცნებობდა მოცეკვავედ გახდომაზე და კიდეც დადიოდა ბაი-სიტის (მიჩიგანის შტატის დეტროიდის გარეუბანი) ქორეოგრაფიულ სასწავლებელში.

ჩვიდმეტი წლის ქალიშვილმა 35 დოლარის „კაპიტალით" დატოვა თავისი მშობლიური ქალაქი და გაემგზავრა ნიუ-იურკში იმ იმედით, რომ მალე გახდებოდა ცნობილი მსახიობი. 10 ათას სხვა ამერიკელ უმუშევარ მოცეკვავე ქალთან ერთად, მადონაც ჩაება მზის ქვეშ ადგილის მოპოვებისათვის ულმობელ, დამაძაბუნებელ ბრძოლაში. იმისათვის, რომ ცეკვის გაკვეთილებისათვის ფული გადაეხადა, მუშაობდა ოფიციანტად, გამყიდველად, პოზიორობდა ჟურნალებისათვის. წუთით არ ივიწყებდა თავის ოცნებას — ხვეწდა თითოეულ პას, დაუსრულებლად იმეორებდა ცალკეულ ილეთს, მოძრაობას, პოზას... მაგრამ აღიარებამდე ჯერ კიდევ შორს იყო.

1979 წელს, ცნობილი ფრანგი მომღერლის პატრიკ ერნანდესის გაცნობისა და პარიზში მის საცეკვაო ჯგუფში მუშაობის შემდეგ, იგი დაბრუნდა ნიუ-იორკში მტკიცე რწმენით, რომ შეძლებს სიმღერას. მადონამ დაიწყო სიმღერებისათვის ტექსტების წერა, ბეჯითად ეუფლება მუსიკას. მისი სიმღერა მოისმინა ხმის ჩამწერი კომპანიის მდიდარმა მეპატრონემ სეიმურ სტეინმა და კონტრაქტიც დაუდო ახალბედა მომღერალს. ერთი წლის შემდეგ გამოსულ პირველ დისკს წარმატება არ მოუტანია, მეორემ კი მთელი ამერიკა დაიპყრო — მადონა ვარსკვლავი გახდა.

ახლა მომღერლის კარიერამ მიაღწია იმ დონემდის, რომ ხალხში მისი ყოველი გამოჩენა სენსაციას იწვევს. მადონას ფოტოსურათები სისტემატურად იბეჭდება დიდი პერიოდული გამოცემების პირველ გვერდებზე. ეს 30 წლის საქმიანი, თავის თავში დაჯერებული ქალია, რომლის ქონება 30 მილიონ დოლარად არის შეფასებული. მიუხედავად ამ ნათელი წარმატებისა, მადონა ისევ ძალზე შრომისმოყვარეა და თავის საქმიანობის ტემპს არ ანელებს. დაუშრეტელი ენერგია, ტალანტი, თავისი მოწოდებისადმი უსაზღვრო ერთგულება იმის საწინდარია, რომ მადონას ვარსკვლავი დიდხანს არ ჩაქრება მუსიკალურ ცისკიდურზე.

6 55/95





ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი 76178

